საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

# ბრძანებათა და ინსტრუქციათა

# კრებული

# СБОРНИК

## ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

*Министерства просвещения Грузинской ССР*

3

მარტი

ქ. მარქსის სახ. სამ. საბჭოთა
რესპუბლიკური
ბიბლიოთეკა
თბილისი

თბილისი—1962

## შინაარსი


1. ბრძანება № 150—1962—1963 სასწავლო წლისათვის სასკოლო სახელმძღვანელოების გამოცემის მიმდინარეობის შესახებ
2. ბრძანება № 151—მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის საკურსო ღონისძიებათა 1961 წლის შედეგებისა და 1962 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ . . . . . 5
3. ბრძანება № 166—სკოლა-ინტერნატებზე განათლების სამინისტროს მუშაკთა მიმაგრების შესახებ . . . . . 18
4. ბრძანება № 185—კასპისა და ლენინგორის რაიონების მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა შესახებ . . 20
5. ბრძანება № 186—ქ. რუსთავის მუშა ახალგაზრდობის სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . 26
6. ბრძანება № 201—წყალტუბოსა და წულუკიძის რაიონების სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . 34
7. ბრძანება № 241—უცხო ენების სწავლების გაუმჯობესების შესახებ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოების დადგენილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ . . 41
8. ბრძანება № 204—ლაგოდეხის რაიონის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . 47



რედაქტორი უშ. ობოლაძე

კორექტორი ე. აგლაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 3/V-62 წელი. ანაწყობის ზომა 6X10. ქაღალდის ზომა 60X84. სასტამბო ფორმათა რაოდენობა 3,5.

**ფასი 10 კაპ.**

შეკ. 292 ტ. 5000

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტამბა.
თბილისი, უშ. ჩხეიძის ქ. № 19.

Типография Министерства просвещения Грузинской ССР.
Тбилиси, ул. Уш. Чхеидзе, № 19.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1962 წლის 2 მარტის ბრძანება 1962—1963 სასწავლო წლისათვის სასკოლო სახელმძღვანელოების გამოცემის მიმდინარეობის შესახებ

გავეცანი რა 1962/63 სასწავლო წლისათვის სასკოლო სახელმძღვანელოების გამოცემის მიმდინარეობას, აღვნიშნავ, რომ განათლების სამინისტრომ დროულად (1961 წლის 3 ივლისიდან) დაიწყო 1962 წლისათვის გამოსაცემი 106 სახელწოდების სასკოლო სახელმძღვანელოების დედნების მომზადება და გამომცემლობა „ცოდნაზე" გადაცემა, პირველი სექტემბრისათვის გამომცემლობაზე გადაცემული იყო 34 სახელწოდების, ხოლო 31 დეკემბრისათვის—96 სახელწოდების სასკოლო სახელმძღვანელოს დედნები. დღეის რიცხვისათვის გამოცემულია მხოლოდ 13 სახელწოდების სახელმძღვანელო, რაც იმას მოწმობს, რომ გასულ წლებთან შედარებით სასკოლო სახელმძღვანელოების გამოცემის საქმე ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობს.

გასულ, 1961 წელს გამოცემული სახელმძღვანელოებიდან ზოგიერთი პოლიგრაფიულ წუნს წარმოადგენს. მე-10 კლასის ფიზიკის სახელმძღვანელოში კლიშეები და ტექსტები არეულია და ერთმანეთს არ ეთანადება, ზოგიერთი კლიშე გადმობრუნებულია, ფორმულებში დაშვებულია უხეში კორექტურული შეცდომები; კლიშე გადმობრუნებულია მე-3 კლასის არითმეტიკის სახელმძღვანელოშიც; მე-7-8 კლასების ქართული ენის გრამატიკის (სინტაქსი), მე-5 კლასის გერმანული ენისა და რუსული სკოლის მე-10 კლასის ქართული ენის სახელმძღვანელოებში მთელი რიგი გვერდები ცარიელია; რიგ სახელმძღვანელოებში (სსრ კავშირის ისტორია მე-4 კლ. ქვეყნის ნაწილების გეოგრაფია მე-6-7 კლ.) სურათები და ნახაზები ბუნდოვანია და ა. შ.

მიმდინარე წელს გამოცემულ მე-10 კლასის ფიზიკის სახელმძღვანელოში კვლავ დაშვებულია უხეში კორექტურული შეცდომები.

არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს საწარმოოსწავლებიანი სკოლებისათვის სახელმძღვანელოების მომზადების საქმე. გეგმით გათვალისწინებულ 11 სახელმძღვანელოდან ორი სახელმძღვანელო

ჯერ კიდევ არ არის შედგენილი, ხოლო 4 კი არ არის რეცენზირებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1962/63 სასწავლო წლისათვის მაღალხარისხოვანი სახელმძღვანელოებით სკოლების უზრუნველყოფის მიზნით, ვბრძანებ:

1. განათლების სამინისტროს სახელმძღვანელოების განყოფილებამ (ამხ. ტ. ტყემალაძე).

ა) მიიღოს გადამჭრელი ზომები, რათა სასკოლო სახელმძღვანელოებიდან დარჩენილი ექვსი სახელმძღვანელოს დედნები სარედაქციოდ ჩააბაროს გამომცემლობა „ცოდნას“ ა/წლის 1 აპრილამდე;

ბ) საწარმოო სწავლების განყოფილებასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს საწარმოოსწავლებიანი სკოლების სახელმძღვანელოების მომზადებას, დედნების რეცენზირებაში ჩაბას გამოცდილი სპეციალისტები, მოაწყოს ავტორებთან და რედაქტორებთან ერთად ამ რეცენზიების განხილვა;

გ) მეთვალყურეობა გაუწიოს სახელმძღვანელოების გამოცემის მიმდინარეობას და ამ საქმეში შეფერხების ყოველი შემთხვევის შესახებ მაცნობოს.

2. ეთხოვოს საქართველოს სსრ კულტურის მინისტრს ამხ. თ. ბუაჩიძეს სათანადო ზომების მიღება, რომ მეტი ყურადღება მიექცეს სასკოლო სახელმძღვანელოების გამოცემის საქმეს, გაძლიერდეს სარედაქციო აპარატის მუშაობა, მკვეთრად გაუმჯობესდეს სასკოლო სახელმძღვანელოების გამოცემის, მხატვრული გაფორმებისა და პოლიგრაფიული შესრულების ხარისხი, აღიკვეთოს წუნდებული სახელმძღვანელოების გამოშვების შემთხვევები.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1962 წლის 3 მარტის ბრძანება მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის საკურსო ღონისძიებათა 1961 წლის შედეგებისა და 1962 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ

გავეცანი რა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის 1961 წელში ჩატარებულ სკოლისა და განათლების მუშაკთა დახელოვნების კურსების მუშაობის შედეგებს, აღვნიშნავ, რომ მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტისა და განათლების ადგილობრივი ორგანოების ერთობლივი ღონისძიებით მიღწეული იქნა მასწავლებელთა და განათლების დარგის სხვა მუშაკთა დახელოვნების 1961 წლის გეგმის გადაჭარბებით შესრულება. გეგმით გათვალისწინებული 5000 მუშაკის ნაცვლად კურსები გაიარა 5230 მუშაკმა.

აჭარის ასსრ განათლების სამინისტროს, ქ. ქუთაისის, აბაშის, ბორჯომის, დუშეთის, ზუგდიდის, კასპის, ყვარლის, ლანჩხუთის, მაიაკოვსკის, თელავის, თერჯოლის, ხაშურის, წულუკიძის, წყალტუბოს რაიონების განათლების განყოფილებები მაღალი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ დასახელოვნებელი კონტინგენტის შერჩევასა და კურსებზე მასწავლებელთა დროულად მივლინების საქმეს, რითაც უზრუნველყვეს საკურსო ღონისძიებათა გეგმის შესრულება.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ქ. თბილისის, ახმეტის, ბოლნისის, ვანის, დმანისის, ყაზბეგის, ლენტეხის, მარნეულის, მახარაძის, ორჯონიკიძის, თეთრიწყაროს, ხობისა და სხვ. რაიონების განათლების განყოფილებებმა ვერ უზრუნველყვეს დასახელოვნებელი კონტინგენტის გეგმის შესრულება.

რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში სათანადოდ არ იყო ორგანიზებული მსმენელთა კვება, კულტურულ-მასობრივი მომსახურება და სხვ.

მასწავლებელთა და განათლების დარგის სხვა მუშაკთა დახელოვნების კურსების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ.

1. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის დირექტორს ამხ. თ. ზახაშვილს:

ა) მასწავლებელთა და განათლების სხვა მუშაკთა დახელოვნების მთელ სისტემას საფუძვლად დაუდოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებანი, პარტიის პროგრამა;

ბ) 1962 წელს მუშაობიდან მოუწყვეტლად, მუშაობიდან მოწყვეტით და ზაფხულის პერიოდში მოწყობილ სხვადასხვა სახის კურსებისა და კურს-სემინარების საშუალებით დაახელოვნოს 5000 მასწავლებელი და განათლების დარგის სხვა მუშაკი თანდართული განრიგის მიხედვით;

გ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს საწარმოო სწავლებაზე ახლად გადასაყვანი სკოლების დირექტორებისა და სპეციალისტ-მასწავლებელთა პედაგოგიური დახელოვნების საქმეს, ამ დარგის მუშაკებთან დახელოვნების ღონისძიებანი გაატაროს 1962 წლის აგვისტოში საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სოფლის მეურნეობისა და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროებთან ერთად;

დ) აამაღლოს ლექციებისა და სასემინარო მუშაობის ხარისხი, იზრუნოს სალექციო თემატიკაში სიახლეთა დანერგვისათვის. დახელოვნების კურსების მუშაობაში უმაღლესი სასწავლებლების ლექტორ-მასწავლებლებთან ერთად ჩააბას სკოლის გამოცდილი პრაქტიკოსი მასწავლებლები. პერიოდულად შეამოწმოს ლექცია-პრაქტიკუმების ხარისხი, მოახდინოს წაკითხული ლექციების შემოწმება-გაანალიზება და შედეგები განიხილოს ინსტიტუტის საბჭოს სხდომაზე;

ე) უზრუნველყოს ზაფხულის პერიოდში დასახელოვნებელი კონტინგენტი რბილი ინვენტარით.

2. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს:

ა) უზრუნველყონ დახელოვნების კურსებზე განათლების მუშაკთა დროულად და უკლებლივ გამოცხადება, მიიღონ სათანადო ზომები იმ მუშაკთა მიმართ, რომლებიც არიდებენ თავს დახელოვნების კურსებს, დაგვიანებით ცხადდებიან მეცადინეობაზე და სხვა;

ბ) კოლეგიასა და სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე პერიოდულად განიხილონ მასწავლებელთა და განათლების დარგის სხვა მუშაკთა დახელოვნების საკითხები. ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინონ ინსტიტუტს მასწავლებელთა დახელოვნების ღონისძიების წარმატებით ჩატარებისათვის.

3. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქ. ქ. თბილისისა და ქუთაისის, ბორჯომის, თელავის, თეთრიწყაროს, წყალტუბოს, ქობულეთის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტს 1962 წლის ივნისსა და ივლისში გამოუყონ საკურსო ღონისძიებათა ჩატარებისათვის შესაფერისი სასკოლო შენობები:

ა) ქ. სოხუმში—მე-7—10 და პედაგოგიური ინსტიტუტის საბაზო სკოლები;

ბ) ქ. ბათუმში—სკოლა-ინტერნატი და პირველი საშუალო სკოლა;

გ) ქ. ცხინვალში—პირველი და მე-4 საშუალო სკოლები და სკოლა-ინტერნატი;

დ) ქ. თბილისში—24-ე, 25-ე და 37-ე საშუალო სკოლები;

ე) ქ. ქუთაისში—პირველი, მე-2, მე-3, მე-4 და მე-10 სკოლები;

ვ) ბორჯომში—პირველი საშუალო და რუსული საშუალო სკოლები;

ზ) თელავში—პირველი და მე-2 საშუალო სკოლები;

თ) წყალტუბოში—რუსული საშუალო სკოლა;

ი) ქობულეთში—პირველი საშუალო სკოლა.

4. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძე) შეუფერხებლად დააფინანსოს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი და მისი ფილიალები ამ ბრძანებით დამტკიცებულ საკურსო ღონისძიებათა გეგმის ფარგლებში; მიიღოს ზომები, რათა მაგარი და რბილი ინვენტარისათვის გათვალისწინებული თანხები გაღებული იქნას არა უგვიანეს 1962 წლის მეორე კვარტალისა.

5. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა განყოფილებამ (ამხ. ს. არველაძე) უზრუნველყოს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტისა და მისი ფილიალების მომარაგება საკურსო ღონისძიებათა გეგმის შესრულებისათვის საჭირო მაგარი და რბილი ინვენტარით.

6. გაზეთ „სახალხო განათლებისა“ და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციებმა პერიოდულად გამოაქვეყნონ წერილები მასწავლებელთა და განათლების მუშაკთა დახელოვნების კურსების მუშაობის შესახებ.

7. აღნიშნული ბრძანება განხილულ იქნას ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროს კოლეგიებისა და განათლების განყოფილებებთან არსებული სახალხო განათლებისა საბჭოებზე და დაისახოს კონკრეტული ღონისძიებანი დღემდე არსებულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციისათვის.

8. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კადრების განყოფილებამ (ამხ. ი. კვაჭაძე) კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

# საქართველოს სსრ სკოლების მასწავლებელთა და განათლების სხვა მუშაკთა დახელოვნების კურსების მოწყობის გეგმა

1962 წელს

ეროვნული ბიბლიოთეკა

| №№ | კურსების დასახელება | ჯგ. რაოდ. | მსმ. კონტ. | კურს. ხანგრ. | მოწყვეტ. თუ მოუწყ. | მუშაობის ადგილი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| | ი ა ნ ვ ა რ ი | | | | | |
| 1 | ქართული სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა | 1 | 25 | 3 თვე | მოუწყ. | თბილისი |
| 2 | არაქართული სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელ. | 1 | 25 | " | " | " |
| 3 | ფიზიკისა და ელექტროტექნიკის მასწავლებელთა (რუსული ჯგუფი) | 1 | 25 | " | " | " |
| 4 | მათემატიკის მასწავლებელთა | 1 | 25 | " | " | " |
| 5 | რუსული სკოლების რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა | 1 | 25 | " | " | " |
| 6 | არარუსული სკოლების რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა | 1 | 25 | " | " | " |
| 7 | ქიმიის მასწავლებელთა | 1 | 25 | " | " | " |
| 8 | ბიოლოგიისა და სოფლის მეურნეობის პრაქტიკუმის მასწავლებელთა | 1 | 25 | " | " | " |
| 9 | დაწყებითი კლასების მასწავლებელთა ხელგარჯილობაში დახელოვნების | 1 | 25 | 15 დღ. | მოწყვეტ. | ქუთაისი |
| 10 | სკოლა-ინტერნატების აღმზრდელთა | 1 | 25 | 7 დღე | " | სოხუმი |
| 11 | ლოგოპედების | 1 | 25 | 1 თვე | " | თბილისი |
| 12 | დაწყებითი კლასების მასწავლებელთა ხელგარჯილობაში დახელოვნების | 1 | 25 | 15 დღ. | მოუწყ. | ქუთაისი |
| 13 | საბავშვო ბაღების მუშაკთა | 1 | 25 | " | " | ზუგდიდი |
| 14 | უცხო ენების მასწავლებელთა კურს-სემინარები | 3 | 45 | 5 თვე | " | თბილისი |
| 15 | მეოჯახეობის მასწავლებელთა | 1 | 25 | 1 თვე | მოწყვეტ. | ქუთაისი |

ეროვნული
ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
|---|---|---|---|---|---|---|
| | თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი | | | | | |
| 1 | შრომის (ხეზე, ლითონზე) მასწავ-თა | 1 | 25 | 1,5 | მოწყვეტ. | თბილისი |
| 2 | უფროს პიონერხელმძღვანელთა | 1 | 25 | 15 დღ. | „ | „ |
| 3 | სასკოლო ბიბლიოთეკართა | 1 | 25 | 1 თვე | „ | „ |
| 4 | ქართული სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებელთა | 1 | 25 | 5 თვე | მოუწყ. | გორი |
| 5 | „ „ | 2 | 50 | „ | „ | კასპი |
| 6 | ქართული სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა | 1 | 25 | „ | „ | გორი |
| 7 | რვაწლიანი და საშუალო სკოლების სასწავლო ნაწილის გამგეთა | 2 | 50 | 1 თვე | მოწყვეტ. | თბილისი |
| 8 | დაწყებითი კლასების მასწავლებელთა ხატვასა და სიმღერაში დახელოვნების | 1 | 25 | 5 თვე | მოუწყ. | ქუთაისი |
| 9 | „ (რუს. ჯგ.) | 1 | 25 | „ | „ | სოხუმი |
| 10 | სასკოლო ბიბლიოთეკართა | 1 | 25 | 1 თვე | მოწყვეტ. | ქუთაისი |
| 11 | „ (რუსული ჯგ.) | 1 | 25 | „ | „ | სოხუმი |
| 12 | დაწყებითი კლასების მასწავლებელთა ხატვასა და სიმღერაში დახელოვნება | 2 | 50 | 5 თვე | მოუწყ. | თელავი |
| | მ ა რ ტ ი | | | | | |
| 1 | რვაწლიანი სკოლების ფიზიკის მასწავლებელთა | 1 | 25 | 1 თვე | მოწყვეტ. | თბილისი |
| 2 | რუსული ენისა და ლიტერატურის მეთოდ-გაერთიანების თავმჯდომარეთა | 1 | 25 | 10 დღ. | „ | „ |
| 3 | ქალაქის ტიპის საწარმოოსწავლებიანი სკოლების სასწავლო ნაწილის გამგეთა საწარმოო სწავლების დარგში (რუს. ჯგ.) | 1 | 25 | 1 თვე | „ | სოხუმი |
| 4 | რვაწლიანი და საშუალო სკოლების სასწავლო ნაწილის გამგეთა | 2 | 50 | „ | „ | ქუთაისი |
| 5 | საბავშვო ბაღების და ბაგა-ბაღების აღმზრდელთა | 1 | 25 | „ | „ | თბილისი |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | საბავშვო ბაღების აღმზრდელთა რუს. ჯგუფი | 1 | 25 | „ | მოწყვეტ. | თბილისი |
| 7 | სკოლა-ინტერნატების აღმზრდელთა | 1 | 25 | „ | „ | ქუთაისი |
| 8 | პოლიტექნიკური ციკლის საგნების მასწავლებელთა მეთოდგაერთიანების თავმჯდომარეთა | 1 | 25 | 10 დღ. | „ | თბილისი |
| 9 | სკოლა-ინტერნატების დაწყებითი კლასების აღმზრდელთა ხელგარჯილობაში დახელოვნების | 1 | 25 | „ | „ | ბათუმი |
| 10 | სოფლის ტიპის საწარმოოსწავლებიანი სკოლების სასწავლო ნაწილის გამგეთა საწარმოო სწავლების დარგში (რუსული ჯგუფი) | 1 | 25 | 1 თვე | „ | სოხუმი |
| | ა პ რ ი ლ ი | | | | | |
| 1 | სკოლა-ინტერნატების აღმზრდელთა მეთოდგაერთიანების თავმჯდომარეთა | 1 | 25 | 10 დღ. | მოწყვეტ. | თბილისი |
| 2 | საუწყებო საბავშვო ბაღების აღმზრდელთა | 1 | 50 | 1 თვე | მოუწყვ. | ზუგდიდი |
| 3 | სოფლის ტიპის საწარმოოსწავლებიანი სკოლების სასწავლო ნაწილის გამგეთა საწარმოო სწავლების დარგში | 2 | 50 | „ | მოწყვეტ. | ქუთაისი |
| 4 | შრომის (ხეზე, ლითონზე) მასწავლებელთა (რუსული ჯგ.) | 1 | 25 | 1,5 თვე | „ | თბილისი |
| 5 | რვაწლიანი და საშუალო სკოლის დირექტორთა | 2 | 50 | 1 თვე | „ | „ |
| 6 | სოფლის ტიპის საწარმოოსწავლებიანი სკოლების სასწავლო ნაწილის გამგეთა საწარმოო სწავლების დარგში | 1 | 25 | „ | „ | „ |
| 7 | ქიმიისა და ფიზიკის ლაბორანტთა | 1 | 25 | „ | „ | ქუთაისი |
| | მ ა ი ს ი | | | | | |
| 1 | 1962—63 სასწავლო წელს საწარმოო სწავლებაზე გადასაყვანი სკოლების დირექტორების | 6 | 150 | 7 დღე | „ | ქუთაისი |
| 2 | „ (რუს. ჯგ.) | | 50 | „ | „ | „ |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | ქალაქისა და სოფლის საწარმოოსწავ-ლებელი სკოლების ელექტროტექნი-კის მასწავლებელთა . . | 1 | 25 | 1 თვე | მოწყვეტ. | თბილისი |
| 4 | კინოდემონსტრატორთა (რუს. ჯგუფი) | 1 | 25 | „ | „ | სოხუმი |
| 5 | შრომის (ხეზე, ლითონზე) მასწავლე-ბელთა . . . . | 1 | 25 | 1,5 თვე | „ | თბილისი |
| 6 | საბავშვო სახლების აღმზრდელთა . | 1 | 25 | 1 თვე | „ | „ |
| 7 | ქიმიისა და ფიზიკის ლაბორანტე-ბის . . . . | 1 | 25 | „ | „ | „ |
| 8 | „ (რუს. ჯგ.) | 1 | 25 | „ | „ | „ |
| | **ი ვ ნ ი ს ი** | | | | | |
| 1 | ქართული სკოლების დაწყებითი კლა-სების მასწავლებელთა . . | 3 | 75 | 1 თვე | „ | ბორჯომი |
| 2 | „ „ | 1 | 25 | „ | „ | სოხუმი |
| 3 | „ „ | 4 | 100 | „ | „ | თელავი |
| 4 | „ „ | 6 | 150 | „ | „ | ქუთაისი |
| 5 | „ „ | 1 | 25 | „ | „ | წულუკიძე |
| 6 | „ „ | 1 | 25 | „ | „ | ლანჩხუთი |
| 7 | „ » | 1 | 25 | „ | „ | მაიაკოვს. |
| 8 | „ „ | 1 | 25 | „ | „ | ხულო |
| 9 | რუსული სკოლების დაწყებითი კლა-სების მასწავლებელთა . . | 4 | 100 | „ | „ | თბილისი |
| 10 | „ „ | 1 | 25 | „ | „ | ქუთაისი |
| 11 | „ „ | 1 | 25 | „ | „ | სოხუმი |
| 12 | არარუსული სკოლების დაწყებითი კლასების რუსული ენის მასწავლებე-ლთა . . . . | 1 | 25 | „ | „ | თბილისი |
| 13 | „ » | 1 | 25 | „ | „ | სოხუმი |
| 14 | „ „ | 2 | 50 | „ | „ | ქუთაისი |
| 15 | „ „ | 2 | 50 | „ | „ | შუახევი |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
|---|---|---|---|---|---|---|
| 16 | აზერბაიჯანული სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებელთა . | 1 | 25 | 1 თვე | მოწყვ. | მარნეულ. |
| 17 | სომხური სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებელთა . . | 1 | 25 | „ | „ | თბილისი |
| 18 | „ „ | 1 | 25 | „ | „ | სოხუმი |
| 19 | ოსური სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებელთა . . | 1 | 25 | „ | „ | ცხინვალი |
| 20 | ოსური სკოლების დაწყებითი კლასების რუსული ენის მასწავლებელთა | 1 | 25 | „ | „ | „ |
| 21 | აფხაზური სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებელთა . . | 1 | 25 | „ | „ | სოხუმი |
| 22 | ორ და მეტ კლასთან ერთდროულად მომუშავე მასწავლებელთა . | 2 | 50 | „ | „ | ქუთაისი |
| 23 | „ „ | 1 | 25 | „ | „ | ცხინვალი |
| 24 | „ „ | 2 | 50 | „ | „ | ბორჯომი |
| 25 | „ „ | 1 | 25 | „ | „ | თელავი |
| 26 | ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთა | 2 | 50 | „ | „ | თბილისი |
| 27 | „ „ | 1 | 25 | „ | „ | ქუთაისი |
| 28 | „ (რუს. ჯგ.) | 1 | 25 | „ | „ | თბილისი |
| 29 | გახანგრძლივებული დღის კლასების (ჯგუფების) აღმზრდელ-მასწავლებელთა . . . . . | 1 | 25 | „ | „ | „ |
| 30 | კინოდემონსტრატორთა . . | 1 | 25 | „ | „ | „ |
| 31 | სოფლის ტიპის საწარმოოსწავლებიანი სკოლების მექანიზაციის მასწავლებელთა . . . . . | 2 | 50 | „ | „ | წულუკიძე |
| 32 | ქალაქის ტიპის საწარმოოსწავლებიანი სკოლების სასწავლო ნაწილის გამგეთა საწარმოო სწავლების დარგში | 1 | 25 | „ | „ | თბილისი |
| 33 | სკოლა-ინტერნატების აღმზრდელთა (რუსული ჯგუფი) | 1 | 25 | „ | „ | განთიადი |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ი ვ ლ ი ს ი | | | | | |
| 1 | ქართული სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა | 3 | 75 | 1 თვე | მოწყვ. | ბორჯომი |
| 2 | არაქართული სკოლ. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა | 1 | 25 | „ | „ | „ |
| 3 | ქართული სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის ძასწავლებელთა | 3 | 75 | „ | „ | ბათუმი |
| 4 | რუსული სკოლების რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა | 4 | 100 | „ | „ | სოხუმი |
| 5 | არარუსული სკოლების რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა . . . . . | 5 | 125 | „ | „ | სოხუმი |
| 6 | „ „ | 3 | 75 | „ | „ | ბათუმი |
| 7 | დაწყებითი სკოლების გამგეთა | 2 | 50 | | „ | ქუთაისი |
| 8 | „ „ | 2 | 50 | | „ | ცხინვალი |
| 9 | დაწყებითი სკოლების მასწავლებლების სარაიონო მეთოდგაერთიანების თავმჯდომარეთა . . . . | 1 | 25 | 15 დღ. | „ | ქუთაისი |
| 10 | „ „ | 1 | 25 | „ | „ | ცხინვალი |
| 11 | სომხური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა . . . | 1 | 25 | 1 თვე | „ | თბილისი |
| 12 | გერმანული ენის მასწავლებელთა | 2 | 50 | „ | „ | ქობულეთ. |
| 13 | „ „ | 1 | 25 | „ | „ | ქუთაისი |
| 14 | „ (რუს. ჯგ.) | 1 | 25 | „ | „ | ქობულეთ. |
| 15 | ინგლისური ენის მასწავლებელთა (რუსული ჯგუფი) . . . | 1 | 25 | „ | „ | „ |
| 16 | ფრანგული ენის მასწავლებელთა . | 1 | 25 | „ | „ | „ |
| 17 | პოლიტიკური ცოდნის საფუძვლების მასწავლებელთა . . . | 4 | 100 | 15 დღ. | „ | ცხინვალი |
| 18 | „ (რუს. ჯგ.) | 2 | 50 | „ | „ | „ |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
|---|---|---|---|---|---|---|
| 19 | პოლიტიკური ცოდნის საფუძვლების მასწავლებელთა . . . | 4 | 100 | 15 დღ. | მოწყვ. | წყალტუბ. |
| 20 | ბიოლოგიის მასწავლებელთა . | 2 | 50 | 1 თვე | „ | თელავი |
| 21 | „ (რუს. ჯგ.) | 1 | 25 | „ | „ | „ |
| 22 | „ „ | 2 | 50 | „ | „ | ქუთაისი |
| 23 | გეოგრაფიის მასწავლებელთა . | 2 | 50 | „ | „ | ცხინვალი |
| 24 | „ (რუს. ჯგ.) | 1 | 25 | „ | „ | „ |
| 25 | „ „ | 2 | 50 | „ | „ | წყალტუბ. |
| 26 | მათემატიკის მასწავლებელთა . | 4 | 100 | „ | „ | თბილისი |
| 27 | „ „ | 3 | 75 | „ | „ | ქუთაისი |
| 28 | მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მათემატიკის მასწავლებელთა . . . . . | 1 | 25 | „ | „ | თბილისი |
| 29 | მათემატიკის მასწავლებელთა (რუსული ჯგუფი) . . . . | 1 | 25 | „ | „ | „ |
| 30 | ქიმიის მასწავლებელთა . . | 2 | 50 | „ | „ | „ |
| 31 | „ (რუს. ჯგ.) | 1 | 25 | „ | „ | „ |
| 32 | ფიზიკის მასწავლებელთა . . | 2 | 50 | „ | „ | თბილისი |
| 33 | „ „ | 1 | 25 | „ | „ | ქუთაისი |
| 34 | „ „ | 1 | 25 | „ | „ | სოხუმი |
| 35 | ხატვა-ხაზვის მასწავლებელთა . | 1 | 25 | „ | „ | ცხინვალი |
| 36 | ქალაქის ტიპის საწარმოოსწავლებიანი სკოლების სპეციალობის თეორიის მასწავლებელთა (პროფესიების მიხედვით) . . . . . | 1 | 25 | „ | „ | თბილისი |
| 37 | „ „ (რუს. ჯგ.) | 1 | 25 | „ | „ | სოხუმი |
| 38 | სოფლის ტიპის საწარმოოსწავლებიანი სკოლების სპეციალობის თეორიის მასწავლებელთა (პროფესიების მიხედვით) | 2 | 50 | „ | „ | თბილისი |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | „ | „ |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ა გ ვ ი ს ტ ო | | | | | |
| 1 | 1962—63 სასწავლო წელს საწარმოო სწავლებაზე გადასაყვანი ქალაქისა და სოფლის სკოლების სპეციალისტ მასწავლებელთა (ინჟინრების, აგრონომების, ოსტატების, კვალიფიციური მუშების) . . . . . | 16 | 400 | 7 დღე | მოწყვ. | თბილისი |
| | ს ე ქ ტ ე მ ბ ე რ ი | | | | | |
| 1 | საბავშვო ბაგა-ბაღების ამღზრდელთა | 2 | 50 | 1 თვე | მოწყვეტ. | ქუთაისი |
| 2 | მეოჯახეობის მასწავლებელთა . | 1 | 25 | „ | მოუწყვ. | თელავი |
| 3 | სკოლა-ინტერნატების სასწავლო აღმზრდელობითი ნაწილის გამგეთა . | 1 | 25 | „ | მოწყვეტ. | თბილისი |
| 4 | საბავშვო ბაღების ადმზრდელთა (რუსული ჯგუფი) . . . . | 1 | 25 | „ | მოუწყვ. | სოხუმი |
| 5 | გერმანული ენის მასწავლებელთა . | 1 | 25 | 2 თვე | მოწყვეტ. | თბილისი |
| 6 | ინგლისური ენის მასწავლებელთა . | 1 | 25 | „ | „ | „ |
| 7 | უცხო ენების მასწავლებელთა მეთოდური გაერთიანების თავმჯდომარეთა . . . . . | 1 | 25 | 10 დღ. | „ | „ |
| 8 | ბიოლოგიის მასწავლებლების მეთოდური გაერთიანების თავმჯდომარეთა . . . . . | 1 | 25 | „ | „ | „ |
| 9 | მათემატიკის მასწავლებელთა . | 1 | 25 | 1 თვე | მოუწყვ. | ქუთაისი |
| | ო ქ ტ ო მ ბ ე რ ი | | | | | |
| 1 | ლოგოპედების . . . . | 1 | 25 | „ | მოწყვეტ. | თბილისი |
| 2 | საბავშვო ბაღების გამგეების . | 1 | 25 | „ | „ | ქუთაისი |
| 3 | საუწყებო საბავშვო ბაღების აღმზრდელთა . . . . . | 1 | 25 | „ | მოუწყვ. | „ |
| 4 | ქართული ენისა და ლიტ. მასწავლებელთა მეთოდური გაერთიანების თავმჯდომარეთა . . . . | 1 | 25 | 10 დღ. | მოწყვეტ. | თბილისი |

ეროვნული
ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | შრომის (ხეზე, ლითონზე) მასწავლებელთა . . . . . | 1 | 25 | 1,5 თვე | მოწყვეტ. | თბილისი |
| 6 | 8 წლიანი და საშუალო სკოლების სასწავლო ნაწილის გამგეთა (რუსული ჯგუფი) . . . . . | 1 | 25 | 1 თვე | „ | სოხუმი |
| 7 | მათემატიკის მასწავლებელთა (რუსული ჯგუფი) . . . . . | 1 | 25 | „ | მოუწყვ. | „ |
| 8 | ფიზიკის მასწავლებელთა მეთოდური გაერთიანების თავმჯდომარეთა . | 1 | 25 | 10 დღ. | მოწყვეტ. | თბილისი |
| 9 | მათემატიკის მასწავლებელთა . | 1 | 25 | 1 თვე | მოუწყვ. | „ |
| | ნ ო ე მ ბ ე რ ი | | | | | |
| 1 | საბავშვო ბაღების გამგეების . | 1 | 25 | „ | მოწყვეტ. | თბილისი |
| 2 | მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა . | 1 | 25 | „ | „ | „ |
| 3 | რვაწლიანი და საშუალო სკოლების დირექტორების . . . . | 2 | 50 | „ | „ | ქუთაისი |
| 4 | „ (რუს. ჯგ.) | 1 | 25 | „ | „ | სოხუმი |
| 5 | პოლიტიკური ცოდნის საფუძვლების მასწავლებელთა . . . | 1 | 25 | 15 დღ. | მოუწყვ. | თბილისი |
| 6 | „ (რუსული ჯგუფი) | 1 | 25 | „ | „ | „ |
| 7 | მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა . | 1 | 25 | 1 თვე | მოწყვეტ. | „ |
| 8 | დაწყებითი კლასების მასწავლებელთა ხელგარჯილობაში დახელოვნების | 1 | 25 | 15 დღ. | მოუწყვ. | „ |
| 9 | „ | 1 | 25 | „ | „ | ქუთაისი |

ბატონის სახ. სამ. სახელმწ. * ... * ... * ... * რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1962 წლის 6 მარტის ბრძანება სკოლა-ინტერნატებზე განათლების სამინისტროს მუშაკთა მიმაგრების შესახებ

§ I

სკოლა-ინტერნატებისადმი ხელმძღვანელობის საქმეში განათლების ადგილობრივ ორგანოებზე კონტროლისა და პრაქტიკული დახმარების აღმოჩენის მიზნით მიმაგრებული იქნეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს შემდეგი მუშაკები:

1. უ. პ. ობოლაძე—ტაშისკარის სკოლა-ინტერნატი;

2. ი. გ. ბეროზაშვილი—კასპის სკოლა-ინტერნატი;

3. მ. რ. ქოჩაკიძე და ი. მ. ჭანტურია—ახალციხის, ადიგენის და ასპინძის სკოლა-ინტერნატები;

4. დ. ა. ჯავახია—გეგეჭკორისა და სალხინოს სკოლა-ინტერნატები;

5. ა. თ. კვაჭაძე—ცხინვალის სკოლა-ინტერნატი;

6. ვ. ი. ჩინჩალაძე—გურჯაანისა და კაჭრეთის სკოლა-ინტერნატები;

7. გ. ტ. ნიორაძე—თეთრიწყაროს სკოლა-ინტერნატი;

8. რ. ს. კანდელაკი—რუსთავის სკოლა-ინტერნატი;

9. ს. ნ. არველაძე—ცხაკაიას სკოლა-ინტერნატი;

10. ტ. ე. ტყემალაძე—ჭიათურის სკოლა-ინტერნატი;

11. ს. ა. თვალიაშვილი—ბაბუშერას სკოლა-ინტერნატი;

12. დ. ნ. დუდუჩავა—კოხნარის სკოლა-ინტერნატი;

13. ვ. ი. კეშელავა—განთიადის № 1 და № 2 სკოლა-ინტერნატები;

14. ე. ს. ბასილაძე—კალდახვარის სკოლა-ინტერნატი;

15. ნ. ნ. კობალეიშვილი—ხულოს სკოლა-ინტერნატი;

16. ვ. ი. ბოკუჩავა—სოხუმის სკოლა-ინტერნატი;

17. დ. ა. გიორგაძე—ქუთაისის № 1, № 2 და № 3 სკოლა-ინტერნატები;

18. შ. გ. იოსელიანი—ქ. თბილისის № 4 სკოლა-ინტერნატი;

19. ს. გ. შახსუვარიანი—ახალქალაქისა და ბოგდანოვკის სკოლა-ინტერნატები;

20. ა. ქ. მოსაშვილი—კირნათის სკოლა-ინტერნატი;

21. ტ. შ. იოსებაძე—ბარისახოს სკოლა-ინტერნატი;

22. შ. ს. ლომიძე—ზუგდიდის № 1 და № 2 სკოლა-ინტერნატები;

23. ი. ი. კვაჭაძე—ახალსოფლისა და ინგირის სკოლა-ინტერნატები;

24. ა. ა. ბერიშვილი—ატენის სკოლა-ინტერნატი;

25. მ. ი. სხირტლაძე—ჩაისუბნის სკოლა-ინტერნატი;

26. ქ. ხ. გაჯილაროვი—მარნეულის სკოლა-ინტერნატი;

27. ი. მ. უშვერიძე და ა. ს. ჯიბუტი—ქ. ბათუმის № 1, № 2 და № 3 სკოლა-ინტერნატები;

28. ს. მ. ცინცაძე—სიღნაღის სკოლა-ინტერნატი;

29. ნ. ო. ახვლედიანი—ლაჯანურის სკოლა-ინტერნატი;

30. გ. ფ. ფალავანდიშვილი—ბროწეულას სკოლა-ინტერნატი;

31. მ. ნ. ბებურიშვილი—ქ. თბილისის № 1 სკოლა-ინტერნატი;

32. გ. ნ. მერკვილაძე—ქ. თბილისის № 2 სკოლა-ინტერნატი;

33. გ. კ. აბდუშელიშვილი—ქ. თბილისის № 3 სკოლა-ინტერნატი;

34. ბ. ი. ფერაძე—ქ. თბილისის № 5 სკოლა-ინტერნატი;

35. ზ. ი. რატიშვილი—ქ. თბილისის № 6 სკოლა-ინტერნატი;

36. ა. დ. ჭიჭინაძე—კოჯრის სკოლა-ინტერნატი;

37. თ. გ. მელქაძე—ბეთანიის სკოლა ინტერნატი;

38. ს. ღ. დვალი—კიცხის სკოლა-ინტერნატი;

39. ა. ა. ორახელაშვილი—გულრიფშის სკოლა-ინტერნატი;

40. დ. გ. ყარაშვილი—გარდაბნის სკოლა-ინტერნატი;

41. ს. ტონია და დიდებულიძე—წულუკიძისა და გორდის სკოლა-ინტერნატები;

42. ა. გ. ჩაფიძე—მახუნცეთის სკოლა-ინტერნატი;

43. ნ. თ. ქარცივაძე—მახარაძის სკოლა-ინტერნატი;

§ 2.

მიმაგრებულ ამხანაგებს ვავალებ კვარტალში ორჯერ ადგილზე გაეცნონ მათზე გაპიროვნებული სკოლა-ინტერნატის საქმიანობას, შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად გაატარონ შესაფერისი ღონისძიებანი და სკოლა-ინტერნატის მდგომარეობის შესახებ მოახსენონ კოლეგიას.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1962 წლის 2 მარტის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1962 წლის 10 მარტის ბრძანება კასპისა და ლენინგორის მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა შესახებ

კასპისა და ლენინგორის რაიონების მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმებამ ცხადყო, რომ აღნიშნული რაიონების საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების მუშაობა ხასიათდება არსებითი ნაკლოვანებებით.

ადგილებზე არასაკმაო ღონისძიებანი ტარდება სახალხო მეურნეობის ამა თუ იმ დარგში მომუშავე, საშუალო და შვიდწლიანი განათლების არმქონე ახალგაზრდების საღამოს სკოლებში ჩასაბმელად, რის შედეგად მიმდინარე სასწავლო წელს არ შესრულდა სკოლების ქსელისა და მათში ჩასაბმელ მოსწავლეთა კონტინგენტის სახალხო-სამეურნეო გეგმა: ლენინგორის რაიონში 4 სოფლის ახალგაზრდობის სკოლის, 15 კლასითა და 152 მოსწავლის ნაცვლად 1-ლ სექტემბერს მუშაობდა 2 სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლა 9 კლასითა და 51 მოსწავლით.

მოუთმენლად დაბალია მოსწავლეთა მომზადების დონე. კასპის მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლის IV კლასის მოსწავლეები (მასწავლებელი ს. სუხაშვილი) სუსტ მომზადებას ამჟღავნებენ მშობლიურ ენასა და არითმეტიკაში. თვით მასწავლებელი ს. სუხაშვილი ხშირად მოუმზადებელი ცხადდება გაკვეთილზე. ასევე მოუმზადებლობას იჩენს აღნიშნული კლასი რუსულ ენაშიაც.

14 თებერვალს კასპის მუშა ახალგაზრდობის სკოლის VII კლასში გეოგრაფიაში ჩატარებულ გაკვეთილს (მასწავლებელი ა. დავითაშვილი) 20 მოსწავლიდან ესწრებოდა 11. ვერცერთმა მოსწავლემ ვერ შესძლო ძველი მასალის, შედარებით ნაცნობი თემის „კავკასიის ზოგადი მიმოხილვის“ მოყოლა. ამასთანავე, მასალის საკმაო სიღრმით ხელმეორედ ახსნის შემდეგაც კი გაუჭირდათ მოსწავლეებს მისი გადმოცემა.

პროგრამული მასალის დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს რუსულ ენასა და ლიტერატურაში და ისტორიაში ამავე მუშა ახალგაზრდობის სკოლის IX კლასის მოსწავლეებმა (მასწავლებლები ს. აზატოვა და მ. თანდაშვილი) და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლებში არ სრულდება საკონტროლო წერის ნორმები. ყველა შემოწმებულ კლასს მშობლიურ, აგრეთვე რუსულ ენასა და ლიტერატურაში, როგორც წესი, აკლია ორი-სამი საკონტროლო წერა. ამასთან, მოსწავლეთა ერთ ნაწილს სრულებით არ გააჩნია საკონტროლო წერის რვეულები.

არავითარი ყურადღება არ ექცევა სკოლებში მოსწავლეთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებას. კასპისა და წინაგარის სკოლების V—VII რეორგანიზებულ კლასებში კვალიფიკაციის ამაღლებისათვის სასწავლო გეგმით განკუთვნილი ერთი აკადემიური საათი გაკვეთილების ცხრილში შეტანილიც კი არაა და იგი გამოყენებულია სულ სხვა დანიშნულებით.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა აღნიშნული რაიონების მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მოსწავლეთა კონტინგენტის შენარჩუნების საქმეში. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ გასული წლის 30 ოქტომბრის № 833 ბრძანებით, სპეციალურად გაამახვილა სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოებისა და საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ხელმძღვანელების ყურადღება სკოლებიდან მოსწავლეთა განთესვის თავიდან აცილების საკითხზე. მაგრამ რაიონების განათლების განყოფილებას და საღამოს სკოლების ხელმძღვანელებს საკმარისი ზომები არ მიუღიათ აღნიშნული ბრძანების შესასრულებლად, რის გამო მოსწავლეთა საგრძნობმა ნაწილმა დასტოვა სკოლა.

1-ლ სექტემბრიდან 14 თებერვლამდე კასპის მუშა ახალგაზრდობის სკოლა დასტოვა 23-მა მოსწავლემ, ხოლო ლენინგორის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლის 27 მოსწავლიდან შემოწმების დღისათვის სკოლაში არ სწავლობდა 15 მოსწ., ე. ი. მოსწავლეთა ნახევარზე მეტი. ამასთან, მოსწავლეთა სიმცირისა და დიდი დენადობის გამო, მიმდინარე სასწავლო წლის მანძილზე დაიხურა წინაგარისა და ლენინგორის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლების მე-7 კლასები.

მძიმე მდგომარეობაა შექმნილი ლენინგორის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლაში (დირექტორი ამხ. მ. ბლიევი). ამჟამად სკოლაში დარჩენილ სამ კლასში ირიცხება მხოლოდ 12 მოსწავლე, აქედან მე-8 კლასში—6, მე-9—3 და მე-10— 3. მიუხედავად წინასწარ მიღებული ზომებისა, შემოწმების დღეს, 20 თებე-

რვალს სკოლაში გამოცხადდა მხოლოდ სამი მოსწავლე, აქედან მე-3 კლასში—2 და მე-9 კლასში—1. მე-10 კლასში მოსწავლეთა გამოუცხადებლობის გამო, მეცადინეობა არ ჩატარებულა, სკოლის აკადემიური მოსწრება მე-2 მეოთხედის დამლევს შეადგენს მხოლოდ 66,6%-ს: სკოლაში არ ისწავლება უცხო ენა, გაკვეთილების ცხრილი შედგენილია 18 საათზე, ხოლო კონსულტაციები საერთოდ არ ტარდება. მოუწესრიგებელია პედსაბჭოს ოქმების წიგნი, რომელიც დაულუქავი და ხელმოუწერელია. გასული წლის 30 დეკემბრის პედსაბჭოს სხდომის ოქმი 20 თებერვლისათვის გაუფორმებელი იყო.

არასწორად მოიქცა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილება (გამგე ამხ. ძაგოევი), როდესაც ლენინგორის სოფლის ახალგაზრდობის ქართული საშუალო სკოლის დირექტორად 1962 წლის 6 თებერვალს დანიშნა უმაღლეს კურსდამთავრებული მ. ა. პლიევი, რომელსაც სკოლაში მუშაობის არავითარი გამოცდილება არ აქვს და ამასთან ძალზე სუსტად ფლობს ქართულ ენას.

კასპის მუშა ახალგაზრდობის სკოლაში (დირექტორი ს. ხაფავა) გაკვეთილების ცხრილი შედგენილია 1959 წლის სასწავლო გეგმის საფუძველზე. ამის გამო IV—V კლასებში სრულიად არ არის გათვალისწინებული კონსულტაციები, VIII—IX—X კლასებში ნაცვლად 2-2 საკონსულტაციო საათისა შეტანილია თითო საათი. ამასთან, გათვალისწინებული არაა ის გარემოება, რომ მუშა ახალგაზრდობის სკოლის X კლასში ეს დრო უნდა დაეთმოს XXII ყრილობის მასალების შესწავლას.

აღმაშფოთებელია ის ფაქტი, რომ დასახელებული სკოლების ხელმძღვანელები დღემდე არ იცნობენ ამ უკანასკნელი ორი წლის მანძილზე განათლების სამინისტროს მიერ დამუშავებულ და ადგილებზე დაგზავნილ ისეთ სახელმძღვანელო დოკუმენტებს, როგორიცაა: დებულება „საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის შესახებ“, მითითებებს „სკოლებში მოსწავლეთა მიღების შესახებ“, დებულებას „საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების მუდმივი ხელშემწყობი კომისიების მუშაობის შინაარსისა და ორგანიზაციის შესახებ“ დებულებას „საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის კლასის ხელმძღვანელის შესახებ“, დებულებას „საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პედაგოგიური საბჭოს შესახებ“ და სხვ.

სუსტია საღამოს სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზა. კასპის მუშა ახალგაზრდობისა და ლენინგორის სოფლის ახალგაზ-

რდობის სკოლები ვერ სარგებლობენ მასობრივი სკოლების კაბინეტ-ლაბორატორიებითა და სამასწავლებლოთი.

აღნიშნული რაიონების სკოლების ხელმძღვანელები და მასწავლებლები არ ითვალისწინებენ საღამოს სკოლის მუშაობის სპეციფიკურ პირობებს, არ ეცნობიან საღამოს სკოლებში უკვე შემოწმებული და დანერგილი მუშაობის მოწინავე მეთოდებსა და ხერხებს. კასპის მუშა ახალგაზრდობის სკოლაში დღემდე კლასის ხელმძღვანელების სამუშაო გეგმა მეოთხედების მიხედვით დგება.

ძალზე სუსტია სკოლების დირექტორებისა და სასწავლო ნაწილის გამგეების კონტროლი და ხელმძღვანელობა მასწავლებელთა მუშაობაზე. მასწავლებლების ერთი ნაწილი (ს. სუხაშვილი, ი. ნონიკაშვილი კასპის მუშა ახალგაზრდობის სკოლა და სხვ.) არ ადგენს გაკვეთილების გეგმას.

მოუწესრიგებელია მოსწავლეთა პირადი საქმეები, საკლასო ჟურნალები და სხვა სასკოლო დოკუმენტები.

აღნიშნული სკოლები არ იცავენ სიმწიფის ატესტატებისა და მოწმობების შენახვისა და გაცემის დადგენილ წესს. კასპის მუშა ახალგაზრდობის სკოლაში 14 თებერვლისათის გაუცემელი იყო 1960 წელს კურსდამთავრებულის 1 ცალი სიმწიფის ატესტატი და 7 კლასის დამთავრების 12 ცალი მოწმობა. ლენინგორის სოფლის ახალგაზრდობის სკოლაში ყოფილ დირექტორთან ინახებოდა ერთი ცალი შეუვსებელი მოწმობა. ამასთან, ზოგ შემთხვევაში გაცემის წიგნში არაა აღნიშნული საბუთების გატანის თარიღი ან აკლია ხელის მოწერა და სხვ.

კასპისა და ლენინგორის რაიონების მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მუშაობაში არსებული ზემოხსენებული სერიოზული და სხვა ნაკლოვანებანი გამოწვეულია იმით, რომ კასპისა და ლენინგორის განათლების განყოფილების გამგეები (ამხ. ამხ. ლ. გურგენიძე და ვ. ტიგიევი) საჭირო ხელმძღვანელობასა და კონტროლს არ ახორციელებენ საღამოს სკოლების მუშაობაზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. კასპისა და ლენინგორის რაიონების განათლების განყოფილების გამგეებმა (ამხ. ამხ. ლ. გურგენიძემ და ვ. ტიგიევმა):

ა) გადაჭრით გააუმჯობესონ მუშა და სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებისადმი დახმარება, ხელმძღვანელობა და კონტროლი; სისტემატურად იზრუნონ ამ ტიპის სკოლებისათვის მუშაობის ნორმალური პირობების შესაქმნელად;

ბ) სათანადო მუშაობა გაშალონ ადგილობრივ კომკავშირულ პროფკავშირულ და სამეურნეო ორგანოებთან ერთად წარმოება-

დაწესებულებებში მომუშავე საშუალო განათლების არმქონე ახალგაზრდობის სწავლებაში ჩასაბმელად და 1962-63 სასწავლო წლისათვის მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმის შესასრულებლად;

გ) გულდასმით განიხილონ საღამოს სკოლებში მოსწავლეთა მოძრაობის, სკოლებიდან მათი განთესვის მიზეზები და დასახონ საქმიანი ღონისძიებანი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

დ) სისტემატურად იზრუნონ საღამოს სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, ფართოდ გამოიყენონ ამ საქმეში ფაბრიკა-ქარხნების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების დახმარება;

ე) არ დაუშვან მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში სათანადო გამოცდილების არმქონე მასწავლებელთა დანიშვნა;

ვ) პერიოდულად შეისწავლონ საღამოს სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობა და შედეგები განიხილონ განათლების საბჭოს სხდომაზე.

2. მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების დირექტორებმა:

ა) სისტემატურად იზრუნონ სკოლების სასწავლო მატერიალური ბაზის განსამტკიცებლად;

ბ) გაატარონ მათზე დამოკიდებული ყველა საჭირო ღონისძიება მოსწავლეთა განთესვის თავიდან ასაცილებლად;

გ) დაუყოვნებლივ შექმნან საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების მუდმივი ხელშემწყობი კომისიები;

დ) სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ადგილი დაუთმონ მოსწავლეთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს;

ე) ქმედითი კონტროლი და დახმარება განახორციელონ ცალკეული საგნების მასწავლებელთა მუშაობაზე; მეტი ყურადღება მიაქციონ მასწავლებელთა შემდგომ პედაგოგიურ-მეთოდურ დახელოვნებას; გადაჭრით გარდაქმნან საგნობრივი მეთოდკომისიების მუშაობა;

ვ) 1962 წლის 15 მარტამდე უზრუნველყონ სასკოლო დოკუმენტაციის წესრიგში მოყვანა.

3. საღამოს სკოლების მასწავლებლებმა სისტემატურად იზრუნონ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებისათვის, სწავლებაში თვალსაჩინოების მტკიცე დანერგვით უზრუნველყონ მოსწავლეთა ცოდნის მკვეთრი ამაღლება.

4. კასპის მუშა ახალგაზრდობის სკოლის IV კლასის მასწავლებელს ს. სუხიშვილს სწავლების არადამაკმაყოფილებლად დაყე-

ნებისათვის გამოეცხადოს საყვედური და, როგორც არა სპეციალისტს, ჩამოერთვას რუსული ენის გაკვეთილები.

5. კასპის მუშა ახალგაზრდობის, ლენინგორისა და ...
სოფლის ახალგაზრდობის სკოლების დირექტორებს, ...
მ. ბლიევს, ი. ბიბილოვს, რომლებიც სასწავლო-ალმზრდელობითი მუშაობისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამო მოხსნას იმსახურებენ, მიეთითოთ. ვავალებ მათ დაუყოვნებლივ მიიღონ საჭირო ზომები მუშაობაში გამოვლინებულ ხაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და სასწავლო წლის ორგანიზებულად დასამთავრებლად.

6. აღინიშნოს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილების არასწორი დამოკიდებულება საღამოს სკოლებში კადრების დანიშვნის საქმისადმი.

7. გაფრთხილებულ იქნენ კასპისა და ლენინგორის განათლების განყოფილების გამგეები (ამხ. ამხ. ლ. გურგენიძე და ვ. ტიგიევი) საღამოს სკოლების მუშაობისადმი სუსტი ხელმძღვანელობისა და კონტროლისათვის.

8. კასპისა და ლენინგორის განათლების განყოფილებებმა 1962 წლის 25 ივნისისათვის განათლების სამინისტროს წარმოუდგინონ ანგარიში ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

9. ეს ბრძანება პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე განსახილველად და სათანადო ღონისძიებათა გასატარებლად დაეგზავნოთ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებს.

10. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების განყოფილებამ (ამხ. რ. კანდელაკი) საჭირო კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობაზე.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1962 წლის 2 მარტის კოლეგიის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1962 წ. 10 მარტის ბრძანება ქ. რუსთავის მუშა ახალგაზრდობის სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

აღვნიშნავ, რომ ქ. რუსთავის მუშა ახალგაზრდობის სკოლებში გარკვეული ღონისძიებანი ტარდება სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომ გასაუმჯობესებლად. მუშა ახალგაზრდობის მე-2 და მე-5 სკოლებს (დირექტორები კ. ჯოლია და შ. ბრაგვაძე) სასწავლო-მატერიალური ბაზის შექმნასა და განმტკიცებაში ფასდაუდებელ დახმარებას უწევენ ამიერ-კავკასიის მეტალურგიული ქარხნის დირექცია (დირექტორი ამხ. ს. შარაძენიძე) და შრომა-გასწორების კოლონიის ხელმძღვანელობა (უფროსი ამხ. ა. ვაჩნაძე).

დამაკმაყოფილებლად მუშაობენ მასწავლებლები: ქართულ ენასა და ლიტერატურაში—შ. ბრაგვაძე (მე-5 სკოლა), ნ. ანდრონიკაშვილი (მე-6 სკოლა), რუსულ ენასა და ლიტერატურაში—ნ. ჟუკოვსკაია (მე-5 სკოლა), მათემატიკაში—კ. ბაბუნიდი და ვ. ცანდეკოვი (მე-4 სკოლა), ისტორიაში - შ. დოხნაძე (მე-5 სკოლა), შ. ბერელიძე (1-ლი სკოლა) და სხვ.

მოსწავლე მუშა ახალგაზრდობის გარკვეული ნაწილი სათანადო წარმატებას იჩენს წარმოებისაგან მოუწყვეტლად მეცნიერებათა საფუძვლების დაუფლებაში.

ზემოხსენებულის მიუხედავად, ქ. რუსთავის მუშა ახალგაზრდობის სკოლების სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში ადგილი აქვს მთელი რიგი არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებს.

არასაკმაო ახსნა-განმარტებითი მუშაობა ტარდება შვიდწლიანი და საშუალო განათლების არმქონე მუშა ახალგაზრდობის სწავლებაში ჩასაბმელად. ამის გამო მიმდინარე სასწავლო წელს არ შესრულდა სკოლებში მოსწავლეთა კონტინგენტის ჩაბმის სახალხოსამეურნეო გეგმა: ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 88 კლასისა, 1650 მოსწავლით, მუშაობს 83 კლასი, რომელშიც სწავლობს 1527 კაცი, ე. ი. 5 კლასით და 123 მოსწავლით ნაკლები. ამასთან აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ადგილი აქვს სწავლებაში ჩაბ-

მული კონტინგენტის შეუნარჩუნებლობასაც; ასე, მაგალითად, მუშა ახალგაზრდობის მე-6 სკოლის (დირექტორი ბ. დარჯანია) 252 მოსწავლიდან სწავლას ჩამოშორდა 17. დღემდე სკოლების დირექტორებმა და პედაგოგიურმა კოლექტივებმა მტკიცე, საქმიანი კავშირი ვერ განახორციელეს შესაბამის პარტიულ, კომკავშირულ, პროფკავშირულ, სამეურნეო ორგანიზაციებთან, ვერ დააინტერესეს ისინი სკოლების მუშაობით, მათი საჭიროებით. ხშირ შემთხვევაში მათთან ყოველდღიური ცოცხალი, საქმიანი ურთიერთობა შეცვლილია სხვადასხვა სახის მიმართვებისა და ცნობების მიმოწერით. ამ მხრივ სრულიად არადამაკმაყოფილებელია საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების მუდმივი ხელშემწყობი კომისიების საქმიანობა.

სუსტია სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზა, რის გამო ზოგიერთ შემთხვევაში ცალკეული საგნების პროგრამული მასალის სწავლება ზეპირსიტყვიერად მიმდინარეობს. განსაკუთრებით მოუთმენელ მდგომარეობაშია მე-4 (დირექტორი ზ. ზაქარეიშვილი) და მე-6 (დირექტორი ბ. დარჯანია) სკოლები. მათ თავის განკარგულებაში აქვთ თითო პატარა ოთახი, რომლებიც გამოყენებულია დირექტორის სამუშაოდ და ბიბლიოთეკისა და თვალსაჩინო ხელსაწყოიარაღების საწყობად.

სკოლების დირექტორები და პედაგოგიური კოლექტივები არასაკმაო დაინტერესებას იჩენენ ამ ტიპის სკოლების მუშაობის სპეციფიკური პირობების შესწავლით, არ იცნობენ მოწინავე სკოლებისა და მასწავლებელთა იმ მდიდარ გამოცდილებას, რომელიც ასახულია სათანადო პედაგოგიკურ-მეთოდიკურ ლიტერატურასა და პედაგოგიურ პრესაში. ამის გამო ისეთი მნიშვნელოვანი სასკოლო დოკუმენტები, როგორიცაა სკოლის წლიური, კლასის ხელმძღვანელთა ნახევარწლიური და ცალკეულ მასწავლებელთა გაკვეთილების გეგმები ტრაფარეტულია და თითქმის არაფრით განსხვავდება მასობრივი სკოლის ამავე სახის გეგმებისაგან. 1-ლი, მე-4 და მე-6 მუშა ახალგაზრდობის სკოლების სამუშაო გეგმებში სრულიად არ გვხვდება ღონისძიებანი მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. გეგმებში არის ბევრი არაფრის მთქმელი ფრაზა; ასე, მაგალითად, აღნიშნულია, რომ მასწავლებელთა იდეურ-პოლიტიკური და პედაგოგიურ-მეთოდური მომზადების დონის ამაღლების მიზნით სისტემატურად გატარდება ღონისძიებანი, მაგრამ კერძოდ, კონკრეტულად ვინ რა ღონისძიებებს გაატარებს და რა დროს, ამის შესახებ არაფერია ნათქვამი.

სკოლებში არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული პედა-

გოგიური საბჭოების მუშაობა. საბჭოს სხდომები მეოთხედში იწ-ვევა მხოლოდ ერთხელ. ამის გამო პედსაბჭოს სხდომებზე ვერ ვსაუბ-ბით ცალკეული საგნების მასწავლებლების, კლასის ხელმძღვანელ-თა ანგარიშებს და სხვა. ეს გარემოება გამოწვეულია იმით, რომ დღემდე სკოლები არ იცნობენ საქართველოს სსრ განათლების სა-მინისტროს მიერ 1961 წლის 17 ივნისს დამტკიცებულ დებულებას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგიური საბჭოს შესახებ.

სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება მასწავლებელთა შორის მეთოდური მუშაობა. მეთოდგაერთიანებათა გეგმები ნაჩქა-რევად არის შედგენილი, ხოლო წაკითხული მოხსენებანი ზერელეა, არ ჩანს, რამდენად იცნობს მათი ავტორი სათანადო პედაგოგი-კურ-მეთოდიკურ ლიტერატურას და რა დამოკიდებულებას იჩენს მათდამი. სკოლების ხელმძღვანელები და პედაგოგიური კოლექტი-ვები საფუძვლიანად არ იცნობენ განათლების სამინისტროს მიერ 1961 წლის 20 ივნისს დამტკიცებულ ინსტრუქციულ-მეთოდურ წე-რილს „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებელთა მეთო-დური მუშაობის შესახებ". მეტიც, მუშა ახალგაზრდობის მე-4 სკო-ლის ხელმძღვანელობამ ვერ გაიგო ამ წერილის არსი, სრულიად აიღო ხელი სკოლაში მეთოდგაერთიანებათა შექმნაზე და მასწავ-ლებლებთან მთელი მეთოდური მუშაობა მათ მიერ ცალკეულ თე-მებზე დამოუკიდებელ, ინდივიდუალურ მუშაობამდე დაიყვანა. ამას-თან აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ქ. რუსთავში არ არსე-ბობს სასკოლათაშორისო მეთოდგაერთიანებანი ისეთ საგნებში (ის-ტორია, გეოგრაფია, უცხო ენა...), რომლებშიც მასწავლებელთა რაოდენობის სიმცირე ცალკეული სკოლების მიხედვით მეთოდგაერ-თიანებათა შექმნის საშუალებას არ იძლევა.

გარკვეული ნაკლოვანებებით ხასიათდება გაკვეთილების ცხრი-ლებიც: ზოგ შემთხვევაში თანმიყოლებით გვხვდება ძნელად დასაძ-ლევი საგნები:—ალგებრა, გეომეტრია, ტრიგონომეტრია, ფიზიკა (მე-4 სკოლა), მე-6 სკოლაში თვითნებურად არის განაწილებული სასწავ-ლო საათები მათემატიკურ დისციპლინებს შორის, მე-5 სკოლაში საკონსულტაციო მუშაობისათვის ცალკე დღე არ არის გამოყოფი-ლი და სხვ.

ზოგ შემთხვევაში საკმაო ყურადღება არ ექცევა სასკოლო დოკუმენტაციის მოგვარებას; ასე, მაგალითად, გასულ წელს მუშა ახალგაზრდობის მე-4 საშუალო სკოლა (ყოფ. დირექტორი უ. სუ-ლამანიძე) დაამთავრა 21-მა ახალგაზრდამ. მათ შესახებ არ არსე-ბობს არც პედაგოგიური საბჭოს დადგენილება და არც სკოლის დირექტორის ბრძანება. ამ კლასის მოსწავლეთა ყოფაქცევისა და

აკადემიური წარმატების ჟურნალიც კი მოუწესრიგებელია. სკოლას არ ჰქონდა არც მოსწავლეთა მოძრაობის წიგნი. ამრიგად, აღნიშნულ მოსწავლეებზე სიმწიფის ატესტატები გაიცა მხოლოდ საკლასო ჟურნალისა და საგაზაფხულო გამოცდების ოქმების ჩანაწერთა მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებს აქვს ადგილი ქართული ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, ისტორიისა და გეოგრაფიის სწავლების საქმეში.

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა ერთი ნაწილი არასაკმაოდ მუშაობს საკუთარი იდეურ-მეცნიერული და პედაგოგიურ-მეთოდური დონის ასამაღლებლად. ამის გამო ისინი არადამაკმაყოფილებლად ფლობენ საგანს, მისი სწავლების მეთოდებსა და ხერხებს. მუშა ახალგაზრდობის მე-4 სკოლის X კლასის მოსწავლეებმა ძალზე დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს ქართულ ლიტერატურაში (მასწავლებელი ლ. მესხი). მოსწავლეთა აბსოლუტურ უმრავლესობას უჭირს ძხატვრული ნაწარმოების შინაარსის გადმოცემა, წერით და ზეპირ მეტყველებაში უშვებს ენობრივი ხასიათის უხეშ შეცდომებს, რომლებიც ხშირად შეუმჩნეველი რჩება მასწავლებელს.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობს მე-6 სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ბ. ბიკაშვილი. იგი ვერ ამჩნევს მოსწავლეთა მიერ დაშვებულ შეცდომებს და ლიბერალურად აფასებს მათ ცოდნას. მასწავლებელი IX კლასში ახალი მასალის ახსნისას სახელმძღვანელოში იცქირება, შემდეგ კი კარნახით აწერინებს მოსწავლეებს გრამატიკულ მასალას. მასწავლებელი რაციონალურად ვერ იყენებს სასწავლო დროს.

მე-4 საშუალო სკოლის VIII კლასის მათემატიკის მასწავლებელმა ც. ქაჯაიამ ალგებრის მთელი გაკვეთილი მოანდომა საშინაო დავალებაზე მუშაობას. ამიტომ მან ველარ მოასწრო ახალი მასალის ახსნა. გაკვეთილზე უგულებელყოფილი იყო მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობა.

განვლილი მასალის დაბალი ცოდნა გამოავლინეს მე-5 სკოლის VIII კლასის მოსწავლეებმა ისტორიაში (მასწავლებელი ა. ყულოშვილი). მასწავლებელი არასაკმაოდ ემზადება გაკვეთილისათვის, რის გამო ახალი მასალის ახსნისას უშვებს ფაქტობრივი ხასიათის შეცდომებს; ასე, მაგალითად, მან განაცხადა, რომ საფრანგეთში მესამე წოდებას შეადგენდა მხოლოდ გლეხობა; მასწავლებელი ა. ყულოშვილი ვერ ახერხებს ძირითადი და მეორეხარისხოვანი ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების ერთმანეთისაგან გამოყოფას

საპროგრამო მასალის დაბალი ცოდნა გამოამჟღავნეს ის ტო რიაში აგრეთვე მე-5 სკოლის VI და VIII კლასების მოსწავლეებმა (მასწავლებელი ე. ღვინიანიძე).

მუშა ახალგაზრდობის 1-ლი სკოლის (დირექტორი ელ. ფიფინავა) გეოგრაფიის მასწავლებელი ა. ჯიჯეიშვილი არ ემზადება გაკვეთილისათვის, არ მუშაობს საკუთარი ცოდნის დონის ამაღლებისა და პედაგოგიურ-მეთოდური დახელოვნებისათვის. მასწავლებელს თვითონ უჭირს რუკაზე გეოგრაფიული პუნქტების მონახვა და სწორად ჩვენება. VI და VIII კლასების მოსწავლეებს მეტად დაბალი მომზადება აქვთ გეოგრაფიაში. მასწავლებელი ა. ჯიჯეიშვილი ლიბერალიზმს იჩენს მათი ცოდნის შეფასებაში.

ანალოგიური ნაკლოვანებებით ხასიათდება აგრეთვე მუშა ახალგაზრდობის მე-4 სკოლის IX კლასის გეოგრაფიის მასწავლებლის ე. მაისაშვილის მუშაობაც.

ყოველივე ზემოხსენებულის გამო, დაბალია მოსწავლეთა აკადემიური წარმატება; ასე, მაგალითად, სასწავლო წლის 1-ლი ნახევრის ბოლოს მე-6 სკოლის 235 მოსწავლიდან ჩამორჩებოდა 55, მათ შორის სამ და მეტ საგანში 50 მოსწავლე. კიდევ უფრო ცუდი სურათია ცალკეულ კლასებში: VIII² კლასის 15 მოსწავლიდან ვერ ასწრებს 7, IX კლასის 18 მოსწავლიდან ვერ ასწრებს 7 და ა. შ.

მკაფიოდ ჩანს, რომ სკოლების ხელმძღვანელებისა და პედაგოგიური კოლექტივების არასაკმაო კავშირი წარმოება-დაწესებულებათა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მოსწავლეთა აკადემიურ წარმატებაშიც იჩენს თავს: ზოგჯერ კომკავშირელი მოსწავლე ახალგაზრდები არა თუ ასრულებენ სწავლაში ავანგარდულ როლს, არამედ თვითონ არიან აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეთა რიგებში. მე-4 სკოლის 63 კომკავშირელი მოსწავლიდან ჩამორჩენილია 23.

ქ. რუსთავის მუშა ახალგაზრდობის სკოლებში არსებული ზემოხსენებული და მსგავსი ნაკლოვანებანი სკოლების ხელმძღვანელთა და მასწავლებელთა კადრების არასწორი შერჩევითაც არის გამოწვეული: ყველა სკოლის დირექტორი და სასწავლო ნაწილის გამგე ან ლიტერატორია, ან ისტორიკოსი. ამიტომ ისინი სათანადო ხელმძღვანელობას და დახმარებას ვერ უწევენ მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიისა და ზოგი სხვა საგნის მასწავლებლებს. მუშა ახალგაზრდობის სკოლის ბევრი მასწავლებელი ძირითადად მასობრივ სკოლებში მუშაობს და დიდი (42, 40, 36 საათი) სასწავლო დატვირთვა აქვს; ამასთან მასწავლებელთა ერთ ნაწილს კი მცირე რაოდენობის (7, 8, 9 საათი) საათები აქვს, რაც აგრეთვე უარყოფითად მოქმედებს მათ მუშაობაზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ.

1. სკოლების დირექტორებმა და სასწავლო ნაწილის გამგეებმა:

ა) მტკიცე კონტროლი, ხელმძღვანელობა და დახმარება გაუწიონ ხორციელონ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობაზე. ამასთან თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობას საფუძვლად დაუდონ „კანონი ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და ჩვენს ქვეყანაში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ და მის შესასრულებლად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ გამოცემული ახალი სახელმძღვანელო დოკუმენტები;

ბ) სიტემატურად გაეცნონ საღამოს სკოლების მუშაობის შესახებ გამოქვეყნებულ ყოველ ახალ პედაგოგიკურ-მეთოდიკური ხასიათის შრომებს და შემოქმედებითად გამოიყენონ ისინი თავიანთი სკოლების მუშაობის პირობების შესაბამისად;

გ) ქმედითი ღონისძიებანი გაატარონ მასწავლებელთა იდეურ-მეცნიერული და პედაგოგიურ-მეთოდური დონის ამაღლებისათვის. ამ მიზნით შექმნან (სადაც კი ისინი დღემდე არ არიან შექმნილი) სასკოლო და სასკოლათაშორისო საგნობრივი მეთოდგაერთიანებანი და უზრუნველყონ მათი როლის ამაღლება;

დ) გეგმაზომიერად, მიზნობრივად მოისმინონ გაკვეთილები ცალკეულ სასწავლო დისციპლინებში და იბრძოლონ შემჩნეულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის. განსაკუთრებული ყურადღება მიაქცინონ პოლიტექნიკური ციკლის საგნების სწავლების გაუმჯობესებას სკოლის წინაშე დასმული ახალი ამოცანების შესაბამისად;

ე) მტკიცედ იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პედაგოგიური საბჭოს ახალი დებულებით და გაატარონ ქმედითი ღონისძიებანი მისი მუშაობის მკვეთრი გაუმჯობესებისათვის;

ვ) სათანადო ყურადღებით მოეკიდონ სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დაგეგმვას. ამ მიზნით გაითვალისწინონ, ერთი მხრივ, მოცემული სკოლის მუშაობა და, მეორე მხრივ, პედაგოგიკურ-მეთოდიკურ ლიტერატურასა და პედაგოგიურ პრესაში ასახული მოწინავე სკოლების გამოცდილება;

ზ) დაუყოვნებლივ გადასინჯონ გაკვეთილების ცხრილები და საჭირო ცვლილებანი შეიტანონ მათში;

თ) იზრუნონ სასკოლო დოკუმენტების წესრიგში მოსაყვანად, აღკვეთონ მათი წარმოებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება;

ი) ქმედითი ღონისძიებანი გაატარონ მასწავლებელთა მიერ სასწავლო მეცადინეობაზე არასაპატიო მიზეზით დაგვიანების ან

სრულიად გამოუცხადებლობის შემთხვევათა მთლიანად აღმოსაფხვრელად;

კ) გადაჭრით გააუმჯობესონ წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებთან, პარტიულ, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ურთიერთობა, სკოლის მუშაობის ხელშემწყობ კომისიებში ამ ორგანიზაციების წარმომადგენელთა ჩაბმით და აქტიური მონაწილეობით მიაღწიონ მათში სკოლის საქმიანობით, მისი სასწავლო-მატერიალური ბაზის მდგომარეობით დაინტერესებას.

2. მასწავლებლებმა სისტემატურად იმუშაონ საკუთარი იდეურ-მეცნიერული და პედაგოგიურ-მეთოდური დონის შემდგომი ამაღლებისათვის. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ყოველი გაკვეთილისათვის მომზადებას; მტკიცედ დანერგონ სწავლებაში თვალსაჩინოება; შეაჩვიონ მოსწავლეები წიგნზე დამოუკიდებელ მუშაობას. მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის მასწავლებლები გულმოდგინედ გაეცნონ იმ საწარმოების ტექნოლოგიურ პროცესებს, რომლებშიც მათი მოსწავლეები მუშაობენ და იზრუნონ მოსწავლეთა პროფესიული კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

3. ქ. რუსთავის განათლების განყოფილებამ (ამხ. ს. როსნაძემ);

ა) მკვეთრად გააუმჯობესოს მუშა ახალგაზრდობის სკოლებისადმი ხელმძღვანელობა, დახმარება და კონტროლი. საკითხები ამ ტიპის სკოლების მუშაობის შესახებ, საჭიროების შემთხვევაში, განსახილველად შეიტანოს ხელმძღვანელ პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ ორგანოებსა და სახალხო განათლების საბჭოში;

ბ) შეისწავლოს მუშა ახალგაზრდობის სკოლების ხელმძღვანელი (დირექტორი, სასწავლო ნაწილის გამგე) და პედაგოგიური კადრებით დაკომპლექტების საკითხი და თავისი წინადადებანი წარუდგინოს სათანადო ორგანოებს;

გ) მიიღოს მათზე დამოკიდებული ყველა ზომა ამ სკოლების, განსაკუთრებით კი მე-4 და მე-6 სკოლების, მუშაობისათვის აუცილებელი პირობების შექმნისა და სასწავლო-მატერიალური ბაზის გასაუმჯობესებლად;

დ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მომავალში მუშა ახალგაზრდობის სკოლების მოსწავლეთა სასკოლო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფას;

ე) ქმედითი ღონისძიებანი გაატაროს მომავალში მუშა ახალგაზრდობის სკოლებში მოსწავლეთა კონტინგენტის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესასრულებლად.

4. საგნის სწავლების არადამაკმაყოფილებლად დაყენებისა და მოსწავლეთა დაბალი მომზადების გამო, მიეთითოთ მასწავლებლებს: ლ. მესხს (მე-4 სკოლა, ქართული ენა და ლიტერატურა), ბ. ზიკიშვილს (მე-6 სკოლა, რუსული ენა და ლიტერატურა), ც. ქაჯაიას (მე-4 სკოლა, მათემატიკა), ა. ყულოშვილს, ე. ღვინიანიძეს (მე-6 სკოლა, მე-5 სკოლა, ისტორია), ა. ჯიჯეიშვილსა და ე. მაისაშვილს (1-ლი და მე-4 სკოლები, გეოგრაფია).

5. სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაზე არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობის გამო, მუშა ახალგაზრდობის მე-4 და მე-6 სკოლების დირექტორებს ს. ზაქარეიშვილს და ბ. დარჯანიას მიეთითოთ.

6. რუსთავის განათლების განყოფილებამ მიმდინარე წლის 25 აპრილამდე წერილობით მოახსენოს განათლების სამინისტროს ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

7. ეს ბრძანება პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე განსახილველად და სათანადო ღონისძიებათა გასატარებლად დაეგზავნოთ ქ. რუსთავის მუშა ახალგაზრდობის სკოლებს.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1962 წლის 2 მარტის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1962 წ. 14 მარტის ბრძანება წყალტუბოსა და წულუკიძის რაიონების სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

გავეცანი რა წყალტუბოსა და წულუკიძის რაიონების სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგებს, აღვნიშნავ, რომ ამ რაიონების სკოლების ერთი ნაწილი დამაკმაყოფილებლად მუშაობს. ამ მხრივ გამოირჩევიან წულუკიძის რაიონის გოჩაჯიხაიშის საშუალო და წყალტუბოს რაიონის გუმბრინის 1-ლი შვიდწლიანი სკოლები (დირექტორები ი. იობიძე და პ. გვიშიანი). ამასთან ცალკე სკოლების ბევრი მასწავლებელი სათანადოდ ემზადება გაკვეთილისათვის, რის შედეგადაც მოსწავლეები საფუძვლიან ცოდნას ამჟღავნებენ. მათგან აღსანიშნავია ქართული ენის და ლიტერატურის მასწავლებლები დ. ავალიანი, ნ. წიწილაშვილი (წყალტუბოს ქართული საშ. სკოლა), თ. წულუკიძე (წყალტუბოს რაიონი, გუმბრინის 1-ლი შვიდწლიანი სკოლა), ი. იობიძე და ე. ცაგარეიშვილი (წულუკიძის რაიონი, გოჩა ჯიხაიშის საშუალო სკოლა); რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები: გ. ქათამაძე (წყალტუბოს რაიონი, გეგუთის საშ. სკოლა), თ. ყუფარაძე (წყალტუბოს რაიონი, გუმბრინის 1-ლი შვიდწლიანი სკოლა), ლ. ჩხენკელი (წყალტუბოს ქართული საშუალო სკოლა) მათემატიკის მასწავლებლები: ნ. ყურაშვილი (წყალტუბოს რაიონი, გუმბრინის 1-ლი შვიდწლიანი სკოლა), გ. ფანცხავა და ს. კინწურაშვილი (წყალტუბოს ქართული საშ. სკოლა), ი. ბახტაძე (წულუკიძის II საშ. სკოლა), ს. ცაგარეიშვილი (წულუკიძის რაიონი, გოჩა ჯიხაიშის საშუალო სკოლა), ბ. ბარაბაძე (წულუკიძის რაიონი, მათხოჯის საშუალო სკოლა); ფიზიკის მასწავლებლები: ქ. ჩირგაძე (წულუკიძის II საშ. სკოლა), ს. ჩარგეიშვილი (წულუკიძის 1-ლი საშუალო სკოლა), შ. მხეიძე და ი. უგულავა (წულუკიძის რაიონი, მათხოჯის საშ. სკოლა), დ. ჯანგავაძე (წყალტუბოს საშუალო სკოლა), ლ. შენგელია (წყალტუბოს რაიონი, გეგუთის საშუალო სკოლა) და სხვ. დამაკმაყოფილებლად მუშაობენ აგრეთვე დაწყებითი

კლასის მასწავლებლები: წ. ჩიმაკაძე (წულუკიძის II საშ. სკოლა), ქ. ყუბანეიშვილი (წყალტუბოს რაიონის, გუმბრინის 1-ლი შვიდწლიანი სკოლა), ნ. ჭავჭანიძე (წყალტუბოს ქართული საშუალო სკოლა) და მ. ტაბიძე (წულუკიძის II საშუალო სკოლა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყალტუბოსა და წულუკიძის რაიონებში საწარმოო სწავლებაზე გადაყვანილ ზოგიერთ სკოლას შესაფერისი სასწავლო ბაზები გააჩნია, ბევრ სკოლაში კარგად არის შერჩეული საწარმოო სწავლების პროფილები და სკოლები დაკომპლექტებულია საგნის სათანადო სპეციალისტებით.

მიუხედავად ამისა შემოწმებული სკოლების მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

დაწყებითი კლასების მასწავლებლები: დ. ლორთქიფანიძე (წულუკიძის რაიონი, ძეძილეთის საშ. სკოლა), ბ. ჭოლაძე (წყალტუბოს რაიონი, ოფშკვითის საშ. სკოლა), ლ. ხუროძე (წულუკიძის რაიონი, მათხოჯის საშუალო სკოლა) არადამაკმაყოფილებლად ასწავლიან დედაენასა და არითმეტიკას; ბავშვებს არა აქვთ გამომუშავებული სწორი, გამართული კითხვის, სუფთად და სწორად წერის ჩვევები. დაბალია მოსწავლეთა ცოდნა ზეპირ ანგარიშში.

სერიოზული ნაკლოვანებები ახასიათებს ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებას. ზოგიერთი მასწავლებელი სუსტად ფლობს საგანსა და მისი სწავლების მეთოდიკას, მოუმზადებლად ატარებს გაკვეთილებს, გულდასმით არ ასწორებს საკონტროლო და საშინაო წერით ნამუშევრებს, არ ასრულებს წერის ნორმებს: წყალტუბოს რაიონის ოფშკვითის (მასწ. პ. ნიშნიანიძე და ჯ. ბუაძე), წულუკიძის რაიონის ძეძილეთის (შ. აბზიანიძე), კუხის (დირექტორი და მასწავლებელი ო. ყურაშვილი და მასწ. გ. კაკაბაძე) და სხვა. საშუალო სკოლებიდან ქართულ ენასა და ლიტერატურაში განსაკუთრებით სუსტი მომზადება გამოამჟღავნეს წყალტუბოს რაიონის გეგუთის საშუალო სკოლის (მასწ. ნ. ბოდოკია) და წულუკიძის პირველი საშუალო სკოლის (მასწ. ი. ჩხენკელი) მოსწავლეებმა, რომელთა დიდმა უმრავლესობამ საკონტროლო წერაში მიიღო შეფასება „2“.

წულუკიძის რაიონის ძეძილეთისა (მასწ. ვ. სლესარევა) და წყალტუბოს რაიონის ოფშკვითის (მასწ. ვ. კაპტიოროვა) საშუალო სკოლების რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა პროგრამით გათვალისწინებული ყველა საკითხის შესწავლა სასწავლო წლის პირველ ნახევარში დაამთავრეს. მასწავლებლები ვ. კევლიშვილი (წულუკიძის რაიონი, კუხის საშ. სკოლა) და შ. ჩაჩხიანი (წყალტუბოს საშ. სკოლა) არ იცნობენ საქართველოს სსრ განათ-

ლების სამინისტროს მეთოდურ მითითებებს წერითი მუშაობის სახეების, რაოდენობისა და შეფასების ნორმების შესახებ რუსულ ენასა და ლიტერატურაში, არ იცავენ წერის ნორმებსა და სახეებს, ბევრ მოსწავლეს არა აქვს საკლასო-საშინაო რვეული, ხოლო ვისაც აქვს, მათი რვეულები არ სწორდება; ხშირად შეცდომების გასწორებაზე საგულდაგულო მუშაობა შეცვლილია მექანიკური გადაწერით და სხვ.

მეტად მძიმე მდგომარეობაა მათემატიკის სწავლების მხრივ წყალტუბოს რაიონის გვიშტიბის საშუალო სკოლაში; მათემატიკის მასწავლებლები გ. კუჭავა და ი. ბერიძე არადამაკმაყოფილებლად ფლობენ საგანს, უშვებენ შეცდომებს მაგალითებისა და ამოცანების ამოხსნისას. ძალზე დაბალია მოსწავლეთა ცოდნა მათემატიკურ დისციპლინებში წულუკიძის რაიონის კუხის საშუალო სკოლის V-VI კლასებში (მასწ. შ. კაკაბაძე) და წულუკიძის 1-ლი საშუალო სკოლის დამამთავრებელ XI კლასში (მასწ. ვ. ჯურხაძე); შემოწმების დღეს ამ კლასში საშუალო სიძნელის ამოცანა და მაგალითი ვერც ერთმა მოსწავლემ ვერ ამოხსნა.

შესწავლილი სკოლების უმრავლესობაში ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტები ვერ უზრუნველყოფენ ყველა სახის ცდებისა და ლაბორატორიული სამუშაოების შესრულებას. ძალზე დაბალ დონეზეა დაყენებული ფიზიკის სწავლება წულუკიძის რაიონის კუხის საშუალო სკოლაში. ფიზიკის 12 საათი აქ სამ მასწავლებელზეა განაწილებული. სკოლას არა აქვს ფიზიკის კაბინეტი, ხელსაწყოების ნაწილი მოთავსებულია კლასკაბინეტში, ნაწილი კი ბიოლოგიის კაბინეტში; ხელსაწყოები მოუვლელი და დაზიანებულია და პროგრამით გათვალისწინებული სადემონსტრაციო ცდების, ლაბორატორიული სამუშაოებისა და პრაქტიკუმების ჩატარება მოუხერხებელია. ყურადღება არ ექცევა ამოცანებზე ვარჯიშს ფიზიკაში და სხვ.

დაბალ დონეზე დგას ისტორიის სწავლება წყალტუბოს რაიონის გვიშტიბის საშუალო სკოლაში (მასწ. მ. იოსელიანი). VII კლასში გაკვეთილი მან მოუმზადებლად ჩაატარა, რის შედეგად მთელი რიგი საკითხები აუხსნელი დატოვა, ხოლო ის, რაც ახსნა, ზოგადად და ზერელედ.

ზოგიერთ სკოლაში სათანადო ყურადღება არ ექცევა საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების საქმეს. წყალტუბოს ქართული საშუალო სკოლიდან განთესილია—1, ოფშკვითის საშ. სკოლიდან—3, გეგუთის საშ. სკოლიდან—1, წულუკიძის II საშუალო სკოლიდან—3 და წულუკიძის რუსული საშუალო სკოლიდან—4 მოსწავლე. წყალტუბოსა და წულუკიძის რაიონებში შეუ-

სრულებელია მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმა. მაგალითად, წყალტუბოს რაიონს დააკლდა—63, ხოლო წულუკიძის რაიონს—134 ბავშვი, რაც, სხვა მიზეზებთან ერთად, გამოწვეულია იმით, რომ სკოლები ვერ ახერხებენ ყველა მეორეწლიან მოსწავლეთა შენარჩუნებას. წულუკიძის რაიონში 177 მეორეწლიან მოსწავლიდან ამჟამად სკოლაში სწავლობს მხოლოდ 128.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაკვეთილის ცხრილის შედგენისას არ იცავენ პედაგოგიურსა და მეთოდურ მოთხოვნებს (წულუკიძის რაიონის კუხის, მათხოჯის და წყალტუბოს რაიონის გვიშტიბისა და გეგუთის საშუალო სკოლები). საგნების სიძნელეების მიხედვით დღეები თანაბრად არ არის დატვირთული, ადგილი აქვს გაკვეთილების გაწყვეტილების ხშირ შემთხვევებს.

არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული მეთოდური მუშაობა მთელ რიგ სკოლებში. მეთოდურ გაერთიანებათა გეგმები ზოგადია, მოხსენებები ზერელე და არასაინტერესო. განათლების სამინისტროს ბრძანებები ცალკეული საგნების სწავლების მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ არ არის განხილული პედსაბჭოსა და მეთოდურ გაერთიანებათა სხდომებზე, მასწავლებელთა დიდი ნაწილი ამ ბრძანებებს არ იცნობს.

შესწავლილი სკოლების მოსწავლეთა გარკვეული ნაწილი სათანადოდ არ უვლის სახელმძღვანელოებსა და სასწავლო ნივთებს, წიგნები დაზიანებული და გაჭუჭყიანებულია; არადამაკმაყოფილებელია აგრეთვე მოსწავლეთა პირადი ჰიგიენა წყალტუბოს რაიონის გვიშტიბის, ოფშკვითის, გეგუთის, წულუკიძის რაიონის ძეძილეთისა და კუხის საშუალო სკოლებში.

შესწავლილ სკოლებში არ არის მიზიდული გეგმით გათვალისწინებული სათბობი მასალა, ასევე მოუწესრიგებელია ღუმელები და გასათბობი სისტემა, რის შედეგადაც სასკოლო შენობების გათბობა ზამთრის სეზონში შეუძლებელია.

სკოლების ერთ ნაწილში სუსტად არის დაყენებული დირექტორებისა და სასწავლო ნაწილის გამგეების კონტროლი და ხელმძღვანელობა მასწავლებელთა მუშაობაზე. წულუკიძის რაიონის კუხის (დირექტორი ო. ყურაშვილი), ძეძილეთის (დირექტორი დ. გენელიძე და სასწავლო ნაწილის გამგე ნ. გიორხელიძე), წყალტუბოს რაიონის ოფშკვითის (დირექტორი ვ. მარგველაშვილი და სასწავლო ნაწილის გამგე გ. ძოძუაშვილი), გვიშტიბის (სასწავლო ნაწილის გამგე მ. იოსელიანი) საშუალო სკოლებში სუსტად ხელმძღვანელობენ სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობას. ზემოაღნიშნული სკოლების დირექტორებსა და სასწავლო ნაწილის გამგეებს მცირე რაოდენო-

ბით აქვთ მოსმენილი გაკვეთილები და ისიც არა აქვთ სწორად გაანალიზებული. ო. ყურაშვილი (წულუკიძის რაიონის კუნის საშ. სკოლის დირექტორი) და მ. იოსელიანი (წყალტუბოს რაიონის ბაშტიბის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე) ვერ ერკვევიან სასკოლო მუშაობის ძირითად საკითხებში და მასწავლებლებს გაკვეთილებზე დასწრების შემდეგ აძლევენ მეთოდურად არასწორ და მეცნიერულად გაუმართლებელ შენიშვნებს, რაზედაც მასწავლებლები სამართლიან უკმაყოფილებას გამოსთქვამენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყალტუბოს (გამგე მ. თევდორაძე), წულუკიძის (გამგე გ. თედორაძე) რაიონების განათლების განყოფილებები პედაგოგიურ კაბინეტთან ერთად არა საკმაო რაოდენობით ამოწმებენ სკოლების მუშაობას. მართალია, შემოწმებული სკოლების მუშაობის შესახებ საკითხს იხილავენ აღმასკომისა და განათლების საბჭოს სხდომებზე და სახავენ ღონისძიებებს, მაგრამ მიღებული დადგენილებებისა და ბრძანებების შესრულებას არ ამოწმებენ, არადამაკმაყოფილებელ ხელმძღვანელობას უწევენ სკოლებს მეთოდური მუშაობის დარგში, სუსტად იბრძვიან საჭირო კადრებით სკოლების უზრუნველყოფისა და სკოლების ნივთიერი ბაზის განმტკიცებისათვის.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ.

1. სკოლის დირექტორებმა და სასწავლო ნაწილის გამგეებმა:

ა) გააძლიერონ კონტროლი და ხელმძღვანელობა მასწავლებელთა მუშაობაზე, მიაღწიონ იმას, რომ თითოეული მასწავლებელი სათანადოდ ემზადებოდეს გაკვეთილისათვის და მოსწავლეებს უნერგავდეს მტკიცე ცოდნას;

ბ) სასწავლო კაბინეტები შეავსონ ხელსაწყოებითა და რეაქტივებით, შექმნან საჭირო პირობები, რომ პროგრამით გათვალისწინებული ცდები და ლაბორატორიული მუშაობა ტარდებოდეს სისტემატურად;

გ) გაკვეთილების ცხრილი შეადგინონ პედაგოგიურ მოთხოვნათა ზუსტად დაცვით;

დ) გააძლიერონ მეთოდური მუშაობა სკოლაში, განიხილონ პედსაბჭოსა და საგნობრივ მეთოდურ გაერთიანებათა სხდომებზე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მათემატიკის, ქართული ენისა და ლიტერატურის, ფიზიკისა და ბიოლოგიის სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1961 წლის 8 ივლისის № 488, 29 ივნისის № 460, 17 მაისის № 324, 7 აგვისტოს № 563 და 12 აგვისტოს № 585 ბრძანებები და დასახონ ქმედითი ღონისძიებანი ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

ე) უზრუნველყონ სასკოლო შენობებისა და ეზო-კარმიდამოს სანიმუშოდ მოვლა-გამშვენება; მიზნობრივად გამოიყენონ სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთი; მტკიცედ დაიცვან სკოლაში და მოსწავლეთა შორის სანიტარიგიენური პირობები; მიაღწიონ იმას, რომ ყველა მოსწავლე სკოლაში ატარებდეს და წესიერად უვლიდეს სასკოლო სახელმძღვანელოებს;

ვ) მტკიცე კონტროლი დააწესონ საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განუხრელად გატარებაზე, მიიღონ გადამჭრელი ზომები სკოლის გარეთ დარჩენილი სასკოლო ასაკის ბავშვების სწავლებაში ჩაბმისათვის; არ დაუშვან სკოლიდან მოსწავლეთა უმიზეზოდ განთესვა;

ზ) აღნიშნული ბრძანება განიხილონ პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე და განახორციელონ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის არსებითად გარდაქმნა.

2. საგნის სწავლების არადამაკმაყოფილებლად დაყენებისა და მოსწავლეთა დაბალი მომზადებისათვის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს ნ. ბოდოკიას (წყალტუბოს რაიონი, გეგუთის საშუალო სკოლა), ჯ. ბუაძეს (წყალტუბოს რაიონი, ოფშკვითის საშუალო სკოლა), შ. აბზიანიძეს (წულუკიძის რაიონი, ძეძილეთის საშუალო სკოლა), მათემატიკის მასწავლებლებს გ. კუჭავას და ი. ბენიძეს (წყალტუბოს რაიონი, გვიშტიბის საშუალო სკოლა) გამოეცხადოთ საყვედური და გაფრთხილებულ იქნან, თუ უმოკლეს ვადაში არ გამოასწორებენ მუშაობას, განთავისუფლებულ იქნებიან სამუშაოდან.

3. საგნის სწავლების არადამაკმაყოფილებლად დაყენებისათვის მიეთითოთ დაწყებითი კლასების მასწავლებლებს დ. ლორთქიფანიძეს (წულუკიძის რაიონი, ძეძილეთის საშუალო სკოლა), ბ. ჭოლაძეს (წყალტუბოს რაიონი, ოფშკვითის საშუალო სკოლა), ლ. ხუროძეს (წულუკიძის რაიონი, მათხოჯის საშუალო სკოლა), რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს: ვ. კევლიშვილს (წულუკიძის რაიონი, კუხის საშუალო სკოლა), შ. ჩაჩხიანს (წყალტუბოს საშუალო სკოლა), ფიზიკის მასწავლებლებს რ. კაკაბაძეს და ვ. გორდაძეს (წულუკიძის რაიონი, კუხის საშ. სკოლა), გ. ოფოძეს (წულუკიძის რაიონის კუხის საშუალო სკოლა) და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს: გ. კაკაბაძეს (წულუკიძის რაიონი, კუხის საშუალო სკოლა), პ. ნიშნიანიძეს (წყალტუბოს რაიონი, ოფშკვითის საშუალო სკოლა).

4. მიღებულ იქნას ცნობად წულუკიძის რაიონის განათლების განყოფილების გამგის გ. თედორაძის განცხადება, რომ წულუკიძის

I-ლი საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელ ქ. ტრმაიას, წულუკიძის I საშუალო სკოლის XI კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელ ი. ჩხენკელს და ამავე კლასის მათემატიკის მასწავლებელ ვ. ჯურხაძეს ჩამოერთვათ გაკვეთილები სათანადო კვალიფიკაციის უქონლობისა და საგნების არადამაკმაყოფილებლად სწავლების გამო.

5. წულუკიძის რაიონის ძეძილეთის საშუალო სკოლის დირექტორს დ. გენელიძეს და სასწავლო ნაწილის გამგეს ნ. გიორხელიძეს, კუხის საშუალო სკოლის დირექტორს ო. ყურაშვილს, წყალტუბოს რაიონის ოფშკვითის საშუალო სკოლის დირექტორს ვ. მარგველაშვილს, სასწავლო ნაწილის გამგეს გ. ძოძუაშვილს და გვიშტიბის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს მ. იოსელიანს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისადმი არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობისათვის გამოეცხადოთ საყვედური.

6. წყალტუბოსა და წულუკიძის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა ამხ. მ. თევდორაძემ და გ. თედორაძემ:

ა) გააძლიერონ კონტროლი და დახმარება სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისადმი; სისტემატურად შეამოწმონ სკოლების მუშაობა და იბრძოლონ გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად; ბ) ახალი სასწავლო წლისათვის გადასინჯონ სკოლების ხელმძღვანელთა და მასწავლებელთა შემადგენლობა და ისინი, რომლებმაც ვერ გაამართლეს მათზე დაკისრებული მოვალეობა, შესცვალონ საქმის მცოდნე და უნარიანი კადრებით;

გ) რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს ვ. სლესარევას (წულუკიძის რაიონი, ძეძილეთის საშუალო სკოლა) და ვ. კაპტიოროვას (წყალტუბოს რაიონი, ოფშკვითის საშუალო სკოლა) პროგრამული მასალის ნაჩქარევად და უხარისხოდ გავლისათვის დაადონ სათანადო სასჯელი.

დ) აღნიშნული ბრძანება განიხილონ ყველა სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1962 წლის 2 მარტის დადგენილება

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1962 წ. 21 მარტის ბრძანება უცხო ენების სწავლების გაუმჯობესების შესახებ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოების დადგენილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ

აღვნიშნავ, რომ უცხო ენების სწავლების გაუმჯობესების შესახებ საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 27 მაისის № 468 და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 6 სექტემბრის № 564 დადგენილებების შესასრულებლად განათლების სამინისტრომ გაატარა რიგი ღონისძიებები:

მიმდინარე სასწავლო წელს V კლასები იმ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა, რომლებიც შენობებისა და მასწავლებელთა კადრების მხრივ სათანადოდ არიან უზრუნველყოფილი და რომლებშიც 25-ზე მეტი მოსწავლეა, უცხო ენის გაკვეთილზე გაიყო ორ ჯგუფად; მომდევნო წლებში ამგვარადვეა გათვალისწინებული თანდათანობით VI, VII, VIII და ა. შ. კლასების გაყოფა;

რესპუბლიკის 10 სკოლასა და 3 სკოლა-ინტერნატში შემოღებულია უცხო ენების სწავლება II კლასიდან; შედგენილი და დამტკიცებულია სასწავლო გეგმა და პროგრამები სკოლებისათვის ზოგიერთი საგნის უცხო ენაზე სწავლებით და დებულება ამ სკოლების მუშაობის შესახებ;

შედგენილ იქნა და 1962 სასწავლო წლისათვის გამოიცემა ორიგინალური სახელმძღვანელოები გერმანულ და ფრანგულ ენებში II და ინგლისურ ენაში III კლასებისათვის;

დამტკიცებულ იქნა თვალსაჩინო მასალების სანიმუშო სია;

ქ. თბილისში და რესპუბლიკის დიდი ქალაქების ზოგიერთ სკოლასთან ჩამოყალიბებულია უცხო ენების შემსწავლელთა წრეები, მათთვის შედგენილია სამუშაო პროგრამები;

მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა მოაწყო 6-თვიანი კურსები ქ. თბილისის უცხო ენების მასწავლებელთათვის;

აკრძალულ იქნა სპეციალური კომისიის სათანადო დასკვნის გარეშე უცხო ენების მასწავლებელთა დანიშვნა სკოლებში.

ამასთან ერთად, მნიშვნელოვნად იქნა გაუმჯობესებული უცხო

ენების სწავლებაზე ოპერატიული ხელმძღვანელობა და კონტროლი. თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, გორის, თელავის, ბორ-თურის და ზოგიერთი სხვა ქალაქისა და რაიონების განათლების განყოფილებანი მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებიან უცხო ენების სწავლების გაუმჯობესების საქმეს.

მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში, თავის მხრივ, განათლების სამინისტრომ შეამოწმა უცხო ენების სწავლების მდგომარეობა ქ. ქუთაისის, ახალქალაქის, სიღნაღისა და გურჯაანის რაიონების სკოლებში. შემოწმების მასალებიდან ჩანს, რომ ბევრმა მასწავლებელმა გარდაქმნა მუშაობა უცხო ენების სწავლებისადმი წაყენებულ ახალ მოთხოვნათა შესაბამისად.

ასეთ მასწავლებელთა რიცხვს ეკუთვნიან: ფრანგული ენის მასწავლებლები თ. სეფიაშვილი (ქ. ქუთაისის მე-12 საშუალო სკოლა), ნ. ლობჟანიძე (ქ. გურჯაანის საშუალო სკოლა), ინგლისური ენის მასწავლებლები ლ. მარგველაშვილი (ქუთაისის მე-3 საშუალო სკოლა), ნ. იაკობაშვილი, დ. ფაჩუაშვილი (ქუთაისის 21-ე საშუალო სკოლა), თ. გელაშვილი, ც. მჭედლიშვილი (სიღნაღის რაიონის წნორისა და ქვემო მაჩხაანის საშუალო სკოლები); გერმანული ენის მასწავლებლები ც. ჭიღიტაშვილი (სიღნაღის რაიონის ბოდბის საშუალო სკოლა), და ლ. დარაშვილი (სიღნაღის სკოლა-ინტერნატი). ეს მასწავლებლები გაკვეთილს ძირითადად უცხო ენაზე ატარებენ. გაკვეთილის პროცესში ფართოდ იყენებენ დიალოგებს, ურთიერთ შეკითხვებსა და თვალსაჩინო მასალებს, სათანადო ყურადღებას უთმობენ მოსწავლეთა ლექსიკური მარაგის გამდიდრებას; მათი მოსწავლეები კარგად კითხულობენ, დამოუკიდებლად შეუძლიათ კითხვითი წინადადებების აგება და მათზე პასუხის გაცემა, საუბარი საყოფაცხოვრებო თემებზე და სხვ. მათ შეგნებულად იციან შესასწავლი გრამატიკული მასალა, გამომუშავებული აქვთ ლამაზი კალიგრაფია.

ფრანგული ენის მასწავლებელმა ნ. ლობჟანიძემ (გურჯაანის საშუალო სკოლა) $V^4$ კლასში მეთოდურად გამართული, საინტერესო გაკვეთილი ჩაატარა; გაკვეთილზე იგი სათანადო ყურადღებას აქცევდა ცხვირისმიერი, ღია და დახურული ბგერების გამოთქმას, კარგად ახსნა და განამტკიცა ტექსტის ახალი სიტყვები, ამის შედეგად მოსწავლეებს არ გასჭირვებიათ მასწავლებლის დახმარების გარეშე ახალი მასალის თარგმნა; მოსწავლეები სწორად კითხულობენ, ლამაზად წერენ როგორც დაფაზე, ისე რვეულებში, ერთმანეთს უსვამენ მარტივ კითხვებს და პასუხობენ მათზე, ზმნებს აუღლებენ წინადადებებში.

მონდომებით ემზადებიან გაკვეთილებისათვის და დამაკმაყოფილებელი შედეგები აქვთ ფრანგული ენის მასწავლებლებს დ. ქორვალიძეს, ლ. ქათამაძეს, ზ. ნაცვლიშვილს, შ. მოდებაძეს (გურჯაანის, სოფ. გურჯაანის და ჩუმლაყის საშუალო სკოლები), ი. [illegible]ჭულაძეს (გურჯაანის სკოლა-ინტერნატი); გერმანული ენის მასწავლებლებს მ. მისირიანს, ა. ვართანოვს (ახალქალაქის რაიონის ბოგდანოვკის საშუალო სკოლა); ინგლისური ენის მასწავლებლებს ე. ხელაშვილს, ლ. ქურდაშვილს, ლ. ნადაშვილს, მ. ნადირაშვილს, ც. შანშიაშვილს, ნ. სანიკიძეს (სიღნაღის, მაღაროს, ვაქირისა და წნორის საშუალო სკოლები), თ. თოფურიძეს, რ. მეძმარიაშვილს, ე. დევიძეს (ქუთაისის მე-2 და 25-ე საშუალო სკოლები).

მაგრამ სპეციალური განათლების მქონე უცხო ენების მასწავლებელთა ნაწილს, სუსტად ფლობს რა სალაპარაკო ენას, უჭირს მუშაობა, შებოჭილად გრძნობს თავს, გაკვეთილებზე იშვიათად მიმართავს უცხო ენაზე საუბარს და უხეშ ენობრივ შეცდომებს უშვებს, არასწორად გამოთქვამს ზოგ სიტყვებს. უცხო ენათა სუსტ ცოდნას იჩენენ ინგლისური ენის მასწავლებელი ნ. ბეიტრიშვილი (სიღნაღის რაიონის ვაქირის საშუალო სკოლა), ფრანგული ენის მასწავლებლები ლ. სავაძე, მ. მურადოვა (გურჯაანის რაიონის ჩუმლაყის საშუალო სკოლა და გურჯაანის სკოლა-ინტერნატი), თ. ხელაძე (ქუთაისის მე-6 საშუალო სკოლა). ამის შედეგად ისინი სათანადოდ ვერ მუშაობენ მოსწავლეების სიტყვათა მარაგის გამდიდრებაზე, ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ საკლასო-საშინაო და სიტყვარის რვეულების გასწორებას, გაკვეთილებს ატარებენ თვალსაჩინოების გარეშე; მათი მოსწავლეები გავლილი მასალის სუსტ ცოდნას ამჟღავნებენ, არა აქვთ გამომუშავებული სწორი კითხვისა და გამოთქმის ჩვევები, არ უვარგათ წერითი ხელი.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული გერმანული ენის სწავლება ახალქალაქის სომხურ საშუალო და 8 წლიან სკოლებში, სადაც ამ საგანს არასპეციალისტები ს. პაპინიანი და ლ. აგაჯანოვა ასწავლიან. მიუხედავად იმისა, რომ ისინი მონდომებით მუშაობენ, მათ ენა არ იციან, გაკვეთილს ძირითადად დედაენაზე ატარებენ, კმაყოფილდებიან მხოლოდ კითხვით და თარგმნით. ზოგი გრამატიკული მოვლენა მათ თვითონაც არ ესმით, ამიტომ არ შეუძლიათ ეს მოვლენები გასაგებად აუხსნან მოსწავლეებს. ამავე მიზეზით დასახელებულ მასწავლებლებს შეუმჩნეველი რჩებათ წერით ნამუშევრებში დაშვებული შეცდომები.

ძალზე სუსტად ასწავლიან გერმანულ ენას ახალქალაქის რაიონის კულიკამის საშუალო და ხულგუმის 7-წლიან სკოლებში

არასპეციალისტები ო. პოლოსიანი, ო. ეგიაზაროვი; ისინი სუსტად ფლობენ საგანს და მისი სწავლების მეთოდებს.

ზოგიერთი სკოლების დირექტორები და სასწავლო-აღზრდის გამგეები თავს არიდებენ უცხო ენის გაკვეთილებზე დასწრებას, თუმცა მათ დამწყები მასწავლებლებისათვის დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ საერთო-მეთოდური მითითებებით.

არცერთ შემოწმებულ სკოლაში არ არის უცხო ენის კაბინეტი. ქუთაისის მე-3, მე-6 და მე-12 საშუალო სკოლებს გამოყოფილი აქვთ უცხო ენისათვის კლას-კაბინეტები, მაგრამ არ მოებოვებათ საჭირო თვალსაჩინო მასალები (თეატიკური სურათები, ლოტო, ფონეტიკური, ორთოგრაფიული, გრამატიკული ტაბულები და სხვ.), სასკოლო ბიბლიოთეკებში სრულებით არ არის უცხო ენაზე საკითხავი ადაპტირებული ლიტერატურა და ლექსიკონები.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პედაგოგიური ინსტიტუტები ყოველწლიურად საკმაოდ დიდი რაოდენობით უშვებენ უცხო ენის სპეციალისტებს, რესპუბლიკის რაიონების ბევრ სკოლაში უცხო ენა სულ არ ისწავლება. განსაკუთრებით ეხება ეს ერთკომპლექტიან რვაწლიან სკოლებს, სადაც, საათების სიმცირის გამო, ვერ ხერხდება მასწავლებლის სრული დატვირთვა. ამავე დროს განათლების ადგილობრივი ორგანოები არ უქმნიან სათანადო პირობებს ახლადდანიშნულ სპეციალისტებს ადგილებზე მათი დამაგრების მიზნით, რის გამო, არის შემთხვევები, როდესაც რაიონში ჩასული მასწავლებელი ტოვებს სამუშაოს და უკან ბრუნდება.

სპეციალური განათლების მქონე უცხო ენების მასწავლებელთა კადრებით სკოლების უზრუნველყოფის მხრივ განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაა ახალქალაქის რაიონში. საშუალო სკოლის უცხო ენის 42 მასწავლებლიდან მხოლოდ 11-ს აქვს სპეციალური უმაღლესი განათლება, რაც შეეხება 8 წლიან სკოლებს, მათში, როგორც წესი, ან არასპეციალისტები მუშაობენ ან სულ არ ისწავლება უცხო ენა. ამ რაიონში უცხო ენის სწავლების თანაფარდობაზე ლაპარაკიც ზედმეტია, რადგან ახალქალაქის რუსული და სომხური სკოლების გარდა, ყველა სკოლაში ისწავლება გერმანული ენა.

ახალქალაქის სომხურ საშუალო სკოლაში, სადაც ისწავლებოდა მხოლოდ ფრანგული და გერმანული ენები, მიმდინარე სასწავლო წელს განათლების განყოფილებამ განათლების სამინისტროს ნებართვის გარეშე შემოიღო ინგლისური ენის სწავლებაც და ამ საგნის სწავლება მიანდო საშუალო განათლების მქონე რ. ფეშმალჯიანს, რომელმაც არ იცის უცხო ენა.

უცხო ენების სწავლების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით,

ვბრძანებ

1. განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) სისტემატური ხელმძღვანელობა გაუწიონ სკოლებში უცხო ენების სწავლების სათანადო სიმაღლეზე დაყენების საქმეს. შტატგარეშე ინსპექტორების საშუალებით რეგულარულად შეისწავლონ სკოლებში უცხო ენების სწავლების მდგომარეობა და შემოწმების მასალები მოისმინონ განათლების საბჭოს სხდომებზე;

ბ) გადამჭრელი ღონისძიებები გაატარონ სკოლების სპეციალური განათლების მქონე უცხო ენების მასწავლებლებით დაკომპლექტებისათვის. იზრუნონ უცხო ენების ახლადდანიშნულ მასწავლებელთა ადგილებზე დამაგრების მიზნით მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

2. უცხო ენების მასწავლებლებმა თავიანთი ყოველდღიური მუშაობა გარდაქმნან სკოლების წინაშე დასმული ახალი ამოცანების შესაბამისად: სისტემატურად იზრუნონ თავისი თეორიული ცოდნის დონის ასამაღლებლად; გაკვეთილები ჩაატარონ უცხო ენაზე; სათანადო ყურადღება მიაქციონ მოსწავლეთა ლექსიკური მარაგის გამდიდრებას და მათში ზეპირმეტყველების ჩვევების განვითარებას; სერიოზულად მოეკიდონ მოსწავლეებში კითხვის ტექნიკისა და სწორი გამოთქმების გამომუშავებას; ფართოდ გამოიყენონ თვალსაჩინო მასალები; სისტემატურად და გულდასმით შეამოწმონ მოსწავლეთა საშინაო-საკლასო და სიტყვარის რვეულები; გაშალონ კლასგარეშე მუშაობა, მოაწყონ დილა-საღამოები, გართობა-თამაშობანი უცხო ენაზე და სხვ.

ინგლისური ენის მასწავლებელს ნ. ბერიტაშვილს (სიღნაღის რაიონის ვაქირის საშუალო სკოლა), ფრანგული ენის მასწავლებლებს ლ. სავაძეს, მ. მურადოვს (გურჯაანის რაიონის ჩუმლაყის საშუალო სკოლა და გურჯაანის სკოლა-ინტერნატი), თ. ხელაძეს (ქუთაისის მე-6 საშუალო სკოლა) საგნის სწავლების დაბალ დონეზე დაყენებისათვის მიეთითოთ.

4. ახალქალაქის სომხური საშუალო და რვაწლიანი სკოლის გერმანული ენის მასწავლებლები ს. პაპინიანი და ლ. აგაჯანოვა, როგორც არასპეციალისტები დატოვებულ იქნან სკოლებში მხოლოდ დროებით, სპეციალური განათლების მქონე მასწავლებლების დანიშვნამდე და გაფრთხილებულ იქნენ, რომ თუ სერიოზულ ზრუნვას არ გამოიჩენენ გერმანულ ენაში ცოდნის გაღრმავებაზე, მათ მიმართ მიღებული იქნება ადმინისტრაციული ზომები.

5. ო. პოღოსიანს, ო. ეგიაზაროვს (ახალქალაქის რაიონის კულიკამის საშუალო და ხულგუმის 7 წლიანი სკოლები), როგორც არასპეციალისტებს, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ საგნის სწავლებას, ჩამოერთვათ გერმანული ენის საათები 1962 წლის 1 სექტემბრიდან.

6. ახალქალაქის სომხურ საშუალო სკოლაში მომავალი, 1962-1963 სასწავლო წლიდან გაუქმდეს ინგლისური ენის სწავლება.

7. სკოლების დირექტორებმა და სასწავლო ნაწილის გამგეებმა ქმედითი დახმარება და კონტროლი გაუწიონ უცხო ენის მასწავლებლებს ყოველდღიურ მუშაობაში; მოაწყონ სკოლებში კლასკაბინეტები უცხო ენაში და მიიღონ ზომები მათი საჭირო თვალსაჩინო მასალებით აღჭურვისათვის; სისტემატურად იზრუნონ უცხო ენაზე საკითხავი ლიტერატურით სასკოლო ბიბლიოთეკების შევსებაზე.

8. ახალქალაქის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ამხ. კ. კარახანიანს განათლების სამინისტროს ნებართვის გარეშე ახალქალაქის სომხური სკოლის V კლასში ინგლისური ენის შემოღებისათვის მიეთითოს.

9. სახელმძღვანელოების განყოფილებამ (ამხ. ტ. ტყემალაძე) საგამომცემლო გეგმაში ყოველწლიურად გაითვალისწინოს კლასგარეშე საკითხავი ადაპტირებული ლიტერატურის გამოცემა ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე.

10. მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა სამმართველომ (ამხ. ს. არველაძე) მოამარაგოს სკოლები თვალსაჩინო დიდაქტიკური მასალებით.

11. განმეორებით დაისვას საკითხი კულტურის სამინისტროს წინაშე, რათა ბიბკოლექტორმა სისტემატურად დააკომპლექტოს სასკოლო ბიბლიოთეკები ლექსიკონებითა და უცხო ენაზე კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურით.

12. დაისვას საკითხი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტის წინაშე, რათა შემოღებულ იქნეს საშუალო სკოლის მოსწავლეთათვის ზღაპრების, მოთხრობებისა და ლიტერატურული ნაწყვეტების რადიოგადაცემები უცხო ენებზე ორ კვირაში ერთხელ მაინც.

აღნიშნული ბრძანება განხილულ იქნას რესპუბლიკის სკოლების პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1962 წლის 16 მარტის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1962 წ. 22 მარტის ბრძანება ლაგოდეხის რაიონის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

გავეცანი რა ლაგოდეხის რაიონის სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგებს აღვნიშნავ, რომ ზოგი მათგანი მნიშვნელოვან მუშაობას ატარებს სკოლის წინაშე ამჟამად მდგარი ახალი ამოცანების განხორციელების მიზნით. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ლაგოდეხის (დირექტორი კ. ქებაძე), ლელიანის (დირექტორი კ. სხირტლაძე) საშუალო სკოლების მუშაობა.

მუშაობის კარგ ნიმუშს იძლევიან დაწყებითი კლასების ქართული ენის მასწავლებლები ლაგოდეხის საშუალო სკოლიდან ნ. ნიკურაძე, დ. მამისაშვილი, ვარდისუბნის საშუალო სკოლიდან თ. ჩახნაშვილი, ნ. თაბუნიძე, ე. გოგოლაძე, აფენის საშუალო სკოლიდან დ. მანჩხაშვილი. ამ კლასების მოსწავლეები კითხულობენ გამართულად და სწორად, წერენ ლამაზად და სუფთად. კარგი მუშაობით გამოირჩევიან აგრეთვე ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები მ. დვალი, ნ. ბალიაშვილი, ქ. ოქროშიძე (ლაგოდეხის საშ. სკოლა). ქ. ბრეგვაძე (აფენის საშ. სკ.), რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები ჟ. ღვინიევი (ლაგოდეხის საშ. სკ.), ა. ზელინსკაია, მ. ცეცხლაძე (აფენის საშ. სკ.). გ. კაპანაძე (ვარდისუბნის საშ. სკ.); მათემატიკის მასწავლებლები რ. ხაჩიძე, ვ. ჯაფარიძე, ლ. კირვალიძე (ლაგოდეხის საშ. სკ.), ი. კალანდაძე (ვარდისუბნის საშ. სკ.); ფიზიკის მასწავლებლები ი. კალაძე (ლაგოდეხის საშ. სკ.), ნ. ვარდიაშვილი (ვარდისუბნის საშ. სკ.), ზ. ქერტყოევი (აფენის საშ. სკ.), ნ. ნიკოლეიშვილი (ბაისუბნის საშ. სკ.); ბიოლოგიის მასწავლებლები ვ. ხუციშვილი, გ. შუბითიძე (ლელიანის საშ. სკ.), მ. ხატიაშვილი (ლაგოდეხის საშ. სკ.); ისტორიის მასწავლებლები კ. სხირტლაძე, მ. ცერცვაძე (ლელიანის საშ. სკოლა), მ. შუბითიძე, ფ. ლობჟანიძე (ლაგოდეხის საშ. სკოლა); გეოგრა-

ფიის მასწავლებლები კ. ქებაძე (ლაგოდეხის საშ. სკ.), რ. ...ფარიძე (ბაისუბნის საშ. სკოლა).

რაიონის ზოგიერთი სკოლა პასუხისმგებლობით ეკიდება სასწავლო-საცდელი ნაკვეთების მოვლას. კარგადაა მოვლილი ლელიანის საშუალო სკოლის სასწავლო საცდელი ნაკვეთი, მოწყობილია კვალსათბურები, დათესილია საშემოდგომო კულტურები; ხეხილის ბაღში ნიადაგი დამუშავებულია, ხეების შტამბი შეთეთრებულია, გასხლულია, შეტანილია ორგანული სასუქები; გასულ წელს ნაკვეთიდან სკოლამ 1600 მანეთის შემოსავალი მიიღო.

მიუხედავად ამისა ლაგოდეხის რაიონის სკოლების მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებანია: დაწყებითი კლასების ზოგიერთი მასწავლებელი, კერძოდ, ე. ჩუბინიძე, რ. დევიძე (ბაისუბნის საშ. სკ.), მ. გურგენიძე, ქ. ბრეგვაძე (აფენის საშ. სკოლა) არადამაკმაყოფილებლად მუშაობს. მოსწავლენი წერენ უსუფთაოდ და ულამაზოდ, უშვებენ ენობრივ შეცდომებს, მოსწავლეებს არ აქვთ გამომუშავებული სწორი, გამართული კითხვის ჩვევები.

სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება. ზოგი მასწავლებელი ქართული ენის გრამატიკას ასწავლის ზეპირსიტყვიერად, ცოცხალი ლიტერატურული მასალისაგან მოწყვეტით, საკმაო ყურადღებას არ აქცევს ნაწარმოების იდეური შინაარსის, მხატვრული მხარის, ენის, ლექსიკის შესწავლას, ტექსტზე დამოუკიდებლად მუშაობას, გულგრილად ასწორებს წერით ნამუშევრებს და არასაკმაო რაოდენობით ატარებს ვარჯიშს მოსწავლეთა ნაწერებში დაშვებულ შეცდომათა გასწორებაზე; ამის შედეგად მოსწავლეებს არ აქვთ დამოუკიდებელი წერის ჩვევები, ისინი მწერლის შემოქმედებაზე მსჯელობისას გვერდს უვლიან ნაწარმოების კონკრეტულ შინაარსს და კმაყოფილდებიან კრიტიკული წერილებიდან ამოღებული ფრაზებით, უშვებენ ენობრივი ხასიათის მრავალ შეცდომას განსაკუთრებით სუსტი მომზადება გამოამჟღავნეს დედა ენასა და ლიტერატურაში დამამთავრებელი X და XI კლასების მოსწავლეებმა. მაგ., ნინიგორის საშუალო სკოლის (მასწ. შ. რეხვიაშვილი) X კლასის 6 მოსწავლიდან საკონტროლო წერით ნამუშევრებში შეფასება „1“ მიღო 4-მა, „2“ 1-მა მოსწავლემ; ლელიანის საშუალო სკოლის (მასწავლებლები: ე. ცინცაძე, ე. სხირტლაძე) 24 მოსწავლიდან საკონტროლო წერა არადამაკმაყოფილებლად შეასრულა 10-მა მოსწავლემ; ბაისუბნის საშუალო სკოლის (მასწავლებელი თ. ღუღუნიშვილი) IX კლასის 12 მოსწავლიდან საკონტროლო წერითი ნამუშევარი არადამაკმაყოფილებლად შეასრულა 9 მოსწავლემ; ვარდისუბნის საშუალო

სკოლის ქართული ლიტერატურის მასწავლებელმა გ. ნოზაძემ X კლასში 19 მოსწავლესთან ჩაატარა საკონტროლო წერა და მხოლოდ ექვსი შეაფასა არადამაკმაყოფილებელი ნიშნით, ფაქტიურად კი არადამაკმაყოფილებელ ნიშანს იმსახურებს 12 მოსწავლის წერითი ნამუშევარი.

ნაკლოვანებებით ხასიათდება რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლება. სუსტად ფლობენ ენას და საგნის სწავლების მეთოდებს მასწავლებლები ე. მათიაშვილი, უ. გელაშვილი (ბაისუბნის საშ. სკ.), ე. მაისურაძე (ვარდისუბნის საშ. სკ.) და ვერ ასწორებენ მოსწავლეთა მიერ დაშვებულ შეცდომებს. ამასთან რუსული ენის მასწავლებლები დ. ლეკრიანი (ლაგოდეხის საშ. სკ.), გ. მჭედლიშვილი (აფენის საშ. სკ.) მეთოდურად გაუმართავ გაკვეთილებს ატარებენ და არ ასწორებენ მოსწავლეთა მიერ დაშვებულ შეცდომებს; სრულიად არ ასწორებენ მოსწავლეთა საკლასო-საშინაო წერით ნამუშევრებს ს. ნოზაძე (აფენის საშ. სკოლა), ვ. ბოკერია, თ. აბულაშვილი, მ. სარალიძე (ვარდისუბნის საშ. სკ.).

ძალზე მძიმე მდგომარეობაა რუსული ენის სწავლების მხრივ არაშფერანის ოსურ რეორგანიზებულ საშუალო სკოლაში (დირექტორი ჯიოევი). ამ სკოლაში I—IV კლასები მეცადინეობენ ოსურ ენაზე, ხოლო მეხუთე კლასიდან მეცადინეობა სწარმოებს რუსულ ენაზე. იმის გამო, რომ რუსული ენის სწავლება ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე და ამასთან ცალკეული საგნების მასწავლებლებმა სუსტად იციან რუსული ენა, მოსწავლეებს ძალზე უჭირთ ამ ენაზე სასწავლო საგნების დაუფლება.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული მათემატიკის სწავლება ნინიგორის საშუალო სკოლაში (მასწავლებლები შ. ფოჩხაძე, გ. კოზაევი); ამ სკოლის ქართული და რუსული სექტორის X კლასების მოსწავლეებს შედარებით იოლი მაგალითებისა და ამოცანების დამოუკიდებლად ამოხსნის ცოდნა-ჩვევებიც კი არ გააჩნიათ. ასევე დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს მათემატიკაში ლელიანისა (მასწავლებლები გ. კობერიძე, ს. ჭუმბურიძე) და აფენის (მასწავლებელი ა. შუბითიძე) საშუალო სკოლების X კლასების მოსწავლეებმა.

არადამაკმაყოფილებელი მომზადება აქვთ ფიზიკაში ნინიგორის (მასწ. მ. ნარიშელაშვილი), ვარდისუბნის (მასწ. ს. სააკოვი) საშუალო სკოლების მოსწავლეებს. ვარდისუბნისა და ბაისუბნის საშუალო სკოლებში არაა მოწყობილი ფიზიკის კაბინეტები.

ძალზე დაბალია ქიმიის სწავლების დონე არაშფერანის საშუალო სკოლაში. მასწავლებელი პ. ფუხაევი ვერ ფლობს საშუალო

სკოლის ქიმიის კურსს; იგი გაკვეთილის მასალას სახელმძღვანელოდან უკითხავს კლასს, ვერ ადგენს რეაქციების ქიმიურ ტოლობებს, ვერ არჩევს ჟანგეულების ქიმიურ თვისებებს, არ ატარებს ცდებსა და პრაქტიკულ ლაბორატორიულ სამუშაოებს და მოსწავლეებმა ქიმიიდან ელემენტალური საკითხებიც კი არ იციან. ასევე სუსტად ფლობს საგანს ლელიანის საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელი ა. აბრამიშვილი; ამ სკოლის მე-9 კლასის მოსწავლეებმა ქიმიაში გავლილი მასალის უცოდინარობა გამოამჟღავნეს; მათ არ იციან მენდელეევის პერიოდული კანონი, ელემენტების თვისებების ცვლა მწკრივებში და ჯგუფებში, განსხვავება დიდსა და მცირე პერიოდებს შორის, ჟანგეულების მიღების ხერხები და თვისებები.

ანალოგიური მდგომარეობაა ვარდისუბნის საშ. სკოლაში (მასწ. ლ. კაპანაძე). ბაისუბნის საშუალო სკოლის მასწავლებელი ლ. ბარნაბაშვილი სათანადოდ ვერ ფლობს საგანს და მოსწავლეთა მომზადების დონეც დაბალია. არაშფერანის, ბაისუბნის, ვარდისუბნის, აფენის საშუალო სკოლებში არ არის მოწყობილი ქიმიის კაბინეტები, აღნიშნული სკოლები ღარიბია ხელსაწყო-იარაღებით და რეაქტივებით.

სკოლების ერთ ნაწილში არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ბიოლოგიის სწავლება. ბევრი მასწავლებელი არ იცნობს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1961 წლის 12 აგვისტოს № 585 ბრძანებას რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ბიოლოგიის სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ. ნინიგორის საშუალო სკოლის მასწავლებელი ლ. ზოზიაშვილი თვითონ ვერ ერკვევა უპირობო და პირობით რეფლექსებში, საჭმლის მონელების პავლოვური მეთოდების თეორიულ და პრაქტიკულ მნიშვნელობაში, ვერ იყენებს ბიოლოგიის კაბინეტს სწავლებაში, არ იცნობს ხელსაწყო-იარაღებს (მიკროსკოპს და ფესვის მიერ წყლის შეწოვის სადემონსტრაციო ხელსაწყოს). VIII კლასის მოსწავლეებმა არ იციან ადამიანის ორგანიზმი, მისი ორგანოები და სისტემები, ვერ ერკვევიან ასიმილაციასა და დისიმილაციაში როგორც ნივთიერებათა ცვლის ორ მხარეში. გავლილი მასალის სუსტი ცოდნა გამოამჟღავნეს აფენის საშუალო სკოლის (მასწავლებლები ლ. სეფიაშვილი, ტ. ბრეგვაძე), ვარდისუბნის (მასწ. ა. ნანობაშვილი) და ბაისუბნის (მასწ. ტ. ლაზარიაშვილი) საშუალო სკოლების მოსწავლეებმა. ბაისუბნისა და აფენის საშუალო სკოლებში ბიოლოგიის თვალსაჩინო მასალები მოუვლელი და დამტვერიანებულია.

შემოწმებულ სკოლებში სუსტად არის დაყენებული კლასგა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რეშე მუშაობა. არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ ნორჩ ნატურალისტთა წრეები; არ ხდება ბიოლოგიის კაბინეტების შევსება მოსწავლეთა ნამუშევრებით.

სერიოზული ხარვეზებით ხასიათდება ისტორიის სწავლება ნინიგორის (მასწ. დ. გიორგაძე, გ. თაბუნიძე) და ბაისუბნის (მასწ. შ. გელაშვილი და გ. ხარაიშვილი) საშუალო სკოლებში. მოსწავლეებმა სუსტად იციან ისტორიული ფაქტები და მოვლენები, ვერ ახდენენ მათ გარჩევას, შეფასებას და განზოგადებას, ვერ ერკვევიან მოვლენათა მიზეზ-შედეგობრივ კავშირში. ნინიგორის საშ. სკოლის VI კლასის მოსწავლეები ვერ ერკვევიან ისეთ საკითხებში, როგორიცაა გერმანელების დასახელება დასავლეთ რომის იმპერიის დაცემის შემდეგ, კარლოს დიდის იმპერია და მისი დაშლა, სლავთა შეჭრა ბიზანტიაში და მათი დაბები, არაბთა სახალიფო და სხვ., ხოლო ბაისუბნის საშ. სკოლის VIII კლასის მოსწავლეებს წარმოდგენა არა აქვთ აღმოსავლეთ სლავებზე, კიევის რუსეთზე, რუსეთის ფეოდალურ სამთავროებზე, მოსკოვის როლზე რუსეთის გაერთიანებისათვის ბრძოლაში, თათარ-მონღოლ დამპყრობელბთან რუსეთის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაზე, რუსეთის გაერთიანებაზე ერთიან სახელმწიფოში, ლივონიის ომზე და სხვა საკითხებზე. სკოლაში არ არის მოწყობილი ისტორიის კაბინეტები, მცირე რაოდენობით აქვთ ისტორიული რუკები და სხვა თვალსაჩინო მასალები.

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება გეოგრაფია ვარდისუბნის საშუალო სკოლაში. მასწავლებელი თ. ზურაბიშვილი გულმოდგინედ არ ემზადება გაკვეთილისათვის და მოსწავლეები გავლილი მასალის სუსტ ცოდნას იჩენენ, სკოლაში არ არის მოწყობილი გეოგრაფიის მოედანი და არ ტარდება პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული სამუშაოები; მოსწავლეებს არ აქვთ ატლასები და კონტურული რუკები.

სათანადო სიმაღლეზე არაა დაყენებული სპეციალური საგნების სწავლება. სუსტი ცოდნა გამოამჟღავნეს ბაისუბნის საშუალო სკოლის (მასწ. მ. ქიტიაშვილი) IX კლასის მოსწავლეებმა მებოსტნეობაში; მათ არ იციან მებოსტნეობის ზონები, ბოსტნეული კულტურების დაჯგუფება ბოტანიკური და საწარმოო ნიშანთვისებების მიხედვით და ამ კულტურების ბიოლოგიურ-მორფოლოგიური ნიშანთვისებები; პროგრამიდან გამოტოვებულია ზოგიერთი საკითხი, (მცენარის ბიოლოგიური თავისებურებანი, ჩითილების გამოყვანის წესები, მათი მნიშვნელობა და სხვ.). ნაკლოვანებებით ხასიათდება მემცენარეობის, მეცხოველეობისა და მანქანათმცოდნეობის სწავ-

ლების საქმეც. ანალოგიური მდგომარეობაა ვარდისუბნის საშუალო სკოლაში. მასწ. ს. კაპანაძე და ს. მესხაძე არ იცნობენ სასწავლო პროგრამას, რიგ მნიშვნელოვან საკითხებს არ ასწავლიან და მოსწავლეთა მომზადების დონე დაბალია. მემცენარეობის სწავლება არ უკავშირდება იმ საკითხებს, რომლებიც შესწავლილია ბოტანიკის კურსიდან. ბაისუბნის, ვარდისუბნისა და აფენის საშუალო სკოლების სასწავლო-საცდელი ნაკვეთები სრულყოფილად არ არის მოწყობილი, ხოლო ნინიგორის საშუალო სკოლის (მასწ. დ. ზოზიაშვილი) საცდელი ნაკვეთი მთლიანად მოუწყობელია. არაა ჩატარებული საშემოდგომო სამუშაოები; ნაკვეთი შემოუღობავია; სკოლებს არა აქვთ ნაკვეთზე მუშაობის გეგმა, არ წარმოებს ჩატარებული ცდებისა და დაკვირვებების აღრიცხვა. შემოწმებული სკოლების V—VII კლასებში საცდელი პრაქტიკული მუშაობა სოფლის მეურნეობაში ტარდება მთელი სასწავლო წლის განმავლობაში და არა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების სეზონების მიხედვით. საწარმოო სწავლებას მნიშვნელოვნად აბრკოლებს ის გარემოება, რომ აფენის საშუალო სკოლის სწავლების საბაზო ნაკვეთი სკოლიდან 4 კმ. არის დაშორებული, ხოლო ბაისუბნის საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლეებისათვის მეღვინეობის დასაუფლებელ ბაზად შერჩეულია ღვინის გადამამუშავებელი ქარხანა, სადაც სწავლებასათვის ნორმალური პირობები არაა შექმნილი.

ნინიგორის (დირექტორი ქ. კობიაშვილი), ბაისუბნის (დირექტორი შ. ტყემალაძე), ვარდისუბნის (დირექტორი ვ. ბარბაქაძე), არაშფერანის (დირექტორი ლ. ჯიოევი) საშუალო სკოლებში არასწორად არის შედგენილი გაკვეთილების ცხრილი, ადგილი აქვს საგნებში საათების დაწყვილების შემთხვევებს; ცალკეული დღეები ხშირად გადატვირთულია მათემატიკური დისციპლინებით ან ჰუმანურით; მსგავსი და მონათესავე დისციპლინები ცხრილში მოსაზღვრე საათებშია გათვალისწინებული, საგნები, რომლებსაც სასწავლო გეგმით კვირის მანძილზე დათმობილი აქვს 2—3 საათი, კვირის მოსაზღვრე სასწავლო დღეებშია თანმიყოლებით შეტანილი. ეს სკოლები მეთოდურ მუშაობას არ ატარებენ მასწავლებელთა შორის მეთოდური მუშაობის შესახებ განათლების მინისტრის 1961 წლის 20 ივნისის № 429 ბრძანების შესაბამისად; რაიონის პედკაბინეტს ჯერ-ჯერობით პრაქტიკული ნაბიჯები არ გადაუდგამს სასკოლათაშორისო მეთოდგაერთიანების ორგანიზაციისათვის.

ზოგადია სკოლისა და კლასის ხელმძღვანელების სამუშაო გეგმები; მათში საკითხები კონკრეტულად არ არის ჩამოყალიბებული, არაა ნაჩვენები შესრულების კალენდარული ვადები და შემსრუ-

ლებლები. ნაკლებად არის გათვალისწინებული საკითხები, ცალკეული სასწავლო დისციპლინების სწავლების დონის ამაღლების შესახებ. დასახელებულ სკოლებში მეოთხედების ბოლოს პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე თუმცა მოსმენილია კლასის ხელმძღვანელების ინფორმაციები, მაგრამ არ არის მოცემული ჩატარებული სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის საფუძვლიანი ანალიზი, არაა გამოვლინებული არსებული ნაკლოვანებანი და არ არის დასახული კონკრეტული ღონისძიებანი მათ სალიკვიდაციოდ. პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე იშვიათად იხილება ცალკეული საგნების სწავლების გაუმჯობესების საკითხები.

ვარდისუბნის, ბაისუბნის, ნინიგორის საშუალო სკოლებში სათანადო სიმაღლეზე არ დგას პიონერული, კომკავშირული და მოსწავლეთა ორგანიზაციების მუშაობა. რაზმებისა და რაზმეულის შეკრებებზე განხილული თემები არ არის აქტუალური. ყურადღება არ ექცევა რაზმეულებისა და რაზმების მიერ პიონერთა ცოდნა-ჩვევების სანიმუშო ნუსხის მაჩვენებლების შესწავლა-განხორციელებას. სკოლისა და კლასის ხელმძღვანელების სამუშაო გეგმებში არ არის კონკრეტულად გათვალისწინებული პიონერულ და კომკავშირულ ორგანიზაციებისადმი დახმარების საკითხები. შემოწმებულ სკოლებში ბიბლიოთეკები ღარიბია საბავშვო მხატვრული და მეცნიერულ-პოპულარული ლიტერატურით და არსებული წიგნადი ფონდიც რაციონალურად არ არის გამოყენებული; მასწავლებელთა ერთი ნაწილი არ სარგებლობს ბიბლიოთეკაში არსებული ლიტერატურით.

დასახელებული ნაკლოვანებები იმის შედეგია, რომ სკოლების დირექტორები და სასწავლო ნაწილის გამგეები ვერ ახორციელებენ ქმედით დახმარებასა და კონტროლს მასწავლებლების მუშაობაზე, არ ღებულობენ დროულად ზომებს მოსწავლეთა აკადემიური დონის ამაღლებისათვის, წინასწარ საფუძვლიანად არ ეცნობიან მასწავლებელთა მუშაობას, გაკვეთილის გეგმებს, საგნის სწავლების ხერხებსა და მეთოდებს; გაკვეთილებზე დასწრების ჩანაწერებიდან ჩანს, რომ შენიშვნები და მითითებანი ზერელეა და მასწავლებლებს საჭირო დახმარებას ვერ უწევს საგნის სწავლების გაუმჯობესების საქმეში.

სკოლების მუშაობაზე უარყოფითად მოქმედებს ის გარემოება, რომ ხშირად აქვს ადგილი სასწავლო დღეების გაცდენას მოსწავლეთა მობილიზაციის გამო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე. რაიონის კოლმეურნეობები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები ნაკლებად არიან ჩაბმული სკოლების მშენებლობისა და მატერია-

ლური ბაზის განმტკიცების საქმეში და რაიონის სკოლები ეთილ-
მოუწყობელია, მეორე ცვლაში უხდება მეცადინეობა 31 სკოლას,
2806 მოსწავლით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სასკოლო მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის
მიზნით რაიონის განათლების განყოფილება ჯერ კიდევ ვერ ატა-
რებს ქმედით ღონისძიებებს, არადამაკმაყოფილებლად არის დაყე-
ნებული მოწინავე მასწავლებლების მუშაობის გამოცდილების გან-
ზოგადება, სუსტია კავშირი რაიონის სკოლებისა რესპუბლიკის მო-
წინავე სკოლებთან.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ლაგოდეხის განათლების განყოფილებამ (გამგე ფ. ლობჟა-
ნიძე):

ა) უზრუნველყოს ამ ბრძანების განხილვა რაიონის ყველა
სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე და დასახოს კონკრეტული
ღონისძიებანი სკოლებისა და მასწავლებლების მუშაობაში არსებულ
ნაკლოვანებათა უახლოეს დროში გამოსასწორებლად;

ბ) გააძლიეროს კონტროლი და ხელმძღვანელობა დირექტო-
რებისა, სასწავლო ნაწილის გამგეებისა და მასწავლებლების მუშაო-
ბაზე და საჭირო დახმარების აღმოჩენით მათი მთელი საქმიანობა
წარმართოს სკოლის წინაშე მდგარი სადღეისო ამოცანების გან-
სახორციელებლად;

გ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მოწინავე სკოლე-
ბისა და მასწავლებლების დადებითი გამოცდილების განზოგადებას
და ამ საქმეში აქტიურად ჩააბას რაიონის პედაგოგიური კაბინეტი;
მიაღწიოს იმას, რომ რაიონის სკოლებს შორის დამყარებული იქნას
ცოცხალი საქმიანი კავშირი; საჭირო ზომები მიიღოს საიმისოდ,
რათა რაიონის სკოლებმა ცოცხალი კავშირი დაამყარონ აგრეთვე
მეზობელი რაიონების მოწინავე სკოლებთან;

დ) პერსონალური კონტროლის ქვეშ დააყენოს მასწავლებლე-
ბის: შ. რეხვიაშვილის, შ. ფორჩხიძის, გ. კოზაევის (ნინიგორის
საშ. სკოლა) ე. ჩუბინიძის, რ. დევიძის, ტ. ლაზარაშვილის, შ. გე-
ლაშვილის, გ. ხარაშვილის, მ. ქიტოშვილის (ბაისუბნის საშ. სკ.),
გ. მჭედლიშვილის, ლ. სეფიაშვილის, ტ. ბრეგვაძის (აფენის საშ.
სკ.) მ. გურგენიძის, ქ. ბრეგვაძის, ე. ცერცვაძის, ე. სხირტლაძის,
გ. კობერიძის, ს. ჭუმბურიძის (ლელიანის საშ. სკ.), გ. ნოზაძის,
ს. სააკოვის, ა. ნანობაშვილის, თ. ზურაბიშვილის, ს. კაპანაძის,
დ. მესხაძის (ვარდისუბნის საშ. სკ.), მ. ტაბუევის, ნ. ლალიევის,
რ. ლალიევის, ს. ტედაევის (არაშფერახის საშ. სკ.) პედაგოგიური
საქმიანობა. მიაღწიოს იმას, რომ აღნიშნული მასწავლებლები სის-

ტემატურად მუშაობდნენ თავისთავზე და საფუძვლიანად ემზადებოდნენ ყოველი გაკვეთილისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გააფრთხილოს დასახელებული მასწავლებლები, რომ თუ ისინი უახლოეს დროში არ აღმოფხვრიან ნაკლოვანებებს, მათი სამუშაოდან განთავისუფლების საკითხი მკაცრად იქნება დასმული სათანადო წესის დაცვით;

ე) 1962 წლის ბიუჯეტის, ადგილობრივი სახსრების გამოყენებით და ფართო საზოგადოებრიობისა და ორგანიზაციების მონაწილეობით უზრუნველჰყოს მომავალი სასწავლო წლისათვის ყველა 8 წლიანი და საშუალო სკოლა ძირითადი სასწავლო კაბინეტებითა და სახელოსნოებით;

ვ) ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებთან ერთად ფართოდ გაშალოს მუშაობა სკოლების მშენებლობის საქმეში კოლმეურნეობებისა და სხვა ორგანიზაციების ჩასაბმელად, რათა უახლოეს წლებში უზრუნველყოფილ იქნას სკოლების ერთცვლიან მეცადინეობაზე გადასვლა;

ზ) ქმედითი ზომები მიიღოს სკოლების ეზოების შემოღობვისა, ნაკვეთების კეთილმოწყობისა და საწარმოო სწავლებისათვის სათანადო ბაზებით უზრუნველყოფისათვის;

თ) საფუძვლიანად შეისწავლოს არაშფერანის საშუალო სკოლის სასწავლო-საალმზრდელო საქმიანობა, ადგილზე გაატაროს აუცილებელი ღონისძიებანი ამ სკოლის მუშაობის გაუმჯობესებისათვის და ამასთან, სასწავლო წლის ბოლოსათვის განათლების სამინისტროს წარმოუდგინოს წინადადებები ამ სკოლაში სათანადო კვალიფიკაციის არმქონე მასწავლებლების კვალიფიციური მასწავლებლებით შეცვლის შესახებ.

2. სკოლის დირექტორებმა და სასწავლო ნაწილის გამგეებმა:

ა) არსებითად გააუმჯობესონ მასწავლებლებისადმი დახმარება, გაკვეთილების შემოწმების ხარისხი, საფუძვლიანად შეისწავლონ სასწავლო პროგრამები, გამოსაკითხავი და გადასაცემი მასალა და გაკვეთილზე დასწრების შემდეგ მასწავლებლებს მისცენ მეცნიერულად და მეთოდურად გამართული შენიშვნები და მითითებები;

ბ) აღმოფხვრან სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისადმი ზერელე და ფორმალური დამოკიდებულება; სამუშაო გეგმები გადაამუშაონ იმგვარად, რომ ისინი რეალურად ასახავდნენ სასკოლო ცხოვრების ყველა უბანს და ნამდვილად ეხმარებოდნენ მასწავლებლებს სასკოლო საქმიანობის სწორად წარმართვის საქმეში; გაკვეთილების ცხრილი შეადგინონ პედაგოგიურ-მეთოდური პრინციპების სრული დაცვით, ხოლო მეთოდური მუშაობა წარმართონ ზოგად-

საგანმანათლებლო სკოლის მასწავლებელთა მეთოდური მუშაობის შესახებ განათლების სამინისტროს 1961 წლის 20 ივნისის № 429 ბრძანებისა და მითითებების შესაბამისად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე განიხილონ ცალკეული საგნების, წარმოებითი, შრომითი და პრაქტიკული სწავლების, ზნეობრივი, ფიზიკური და ესთეტიკური აღზრდის ძირითადი საკითხები და შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

დ) სასკოლო ორგანიზაციების (მოსწავლეთა, პიონერული და კომკავშირული) მუშაობა წარმართონ იმგვარად, რომ ისინი ხელს უწყობდნენ სკოლას შეგნებული დისციპლინის დანერგვის, მოსწავლეთა ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნისა და შრომითი, პოლიტექნიკური აღზრდის დონის ამაღლების საქმეში.

4. საგნის სწავლების სუსტად დაყენებისათვის გამოეცხადოთ საყვედური რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს ე. მათიაშვილს, უ. გელაშვილს (ბაისუბნის საშ. სკ.), ე. მაისურაძეს (ვარდისუბნის საშ. სკ.), ქიმიის მასწავლებლებს ა. აბრამიშვილს (ლელიანის საშ. სკ.), ლ. ბარნაბიშვილს (ბაისუბნის საშ. სკ.). ბიოლოგიის მასწავლებელს ლ. ზოზიაშვილს (ნინიგორის საშ. სკ.), ისტორიის მასწავლებელს გ. თაბუნიძეს (ნინიგორის საშ. სკ.), გაფრთხილებული იქნენ ისინი, რომ თუ უახლოეს ხანში არ გააუმჯობესებენ არსებითად მუშაობას, მოხსნილი იქნებიან თანამდებობიდან.

5. სასწავლო აღმზრდელობით მუშაობაზე სუსტი ხელმძღვანელობისათვის გამოეცხადოს საყვედური ნინიგორის საშუალო სკოლის დირექტორს ქ. კობიაშვილს.

6. სკოლების სამმართველომ (ამხ. დ. ჯავახია) თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობას.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1962 წლის 2 მარტის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მ ი ნ ი ს ტ რ ი თ. ლაშქარაშვილი